# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · სამშაბათი, 12 აპრილი 1994 № 19 (94) · ფასი 10 000 კუპონი

**რედაქციისგან:** 25 მარტის შემდეგ გაზეთის დაბეჭდვას ჩვენგან დამოუკიდებელი, სასტამბო პრობლემების გამო საშველი არ დაადგა, რის გამოც მოგვიწია ორი კვირის მანძილზე დაგროვილი მასალების ერთ ნომერში თავმოყრამ და, ბუნებრივია, ამის გამო ზოგიერთ უხერხულობასაც ვერ ავცდით.

სამაგიეროდ, აღვადგინეთ ტრადიციული, რვაგვერდიანი „სარბიელი“, რომლის შენარჩუნებასაც მომავალშიც ვაპირებთ, თუ ხელი მორიგმა საელექტროენერგიო ციებცხელებამ, ან სხვა საზოგადო გასაჭირმა არ შეგვიშალა.

**4** „ვითა“, „თბილისი“, „კაქტუსი“... მეოთხე ვინ იქნება?

**5** „ლეიკერზი“ — „დენვერი“ ვინ გავა „ფლეი-ოფში“?

**8** შუმახერმა სენას აჯობა

მთელი ბრაზილიის თვალწინ

**8** ავსტრალიის მარცხი დევისის თასზე

# უეფამ შეიწყალა «დინამო»

**ქვემორე ფაქსი, უეფას დეპარტამენტის უფროსის, რენე ებერლეს ხელმოწერით, 5 აპრილს მიიღო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ. როგორც ხედავთ, უეფამ შეიწყალა ჩვენი ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონი და ერთი წლით შეუმცირა სასჯელი, რაც საშუალებას იძლევა, „დინამომ“ უკვე წლევანდელი სეზონიდან ითამაშოს ევროთასებზე, თუ, რასაკვირველია, იგი ამ უფლებას საშინაო სარბიელზე მოიპოვებს. იშვიათად, მაგრამ უეფას ადრეც შეუწყალებია ესა თუ ის კლუბი ან ფეხბურთელი. სასიხარულოა, რომ ამგვარი გამონაკლისი ჩვენს კლუბსაც შეეხო.**

ძვირფასო ბატონებო!

ჩვენ ვეყრდნობით თქვენი ფედერაციის მიერ უეფას აღმასრულებელი კომიტეტისადმი თბილისის „დინამოს“ თაობაზე გამოგზავნილ მიმართვას, რაც შეიცავს თხოვნას შემცირდეს უეფას სადისციპლინო კომისიის სანქცია, რომელიც შედეგად მოჰყვა თქვენი გუნდისა და „ლინფილდის“ 1993 წლის 18 აგვისტოს მატჩის ირგვლივ მომხდარ მოვლენებს.

უეფას აღმასრულებელმა კომიტეტმა ეს საკითხი 1994 წლის 30 აპრილს ბარსელონაში გამართულ სხდომაზე განიხილა და გაითვალისწინა თქვენი ფედერაციისა და კლუბის მიერ წამოყენებული არგუმენტები. ახლა სიამოვნებით გაცნობებთ, რომ თქვენი მიმართვა აღმასრულებელმა კომიტეტმა დააკმაყოფილა, მაგრამ მკაცრი გამონაკლისის სახით და იმ საგანგებო გარემოებათა და პრობლემათა გათვალისწინებით, ქართული ფეხბურთი რომ აწყდება.

უეფას აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო“ აღარ არის გაძევებული უეფას საკლუბო ტურნირებიდან და მას უფლება ეძლევა განაცხადი შეიტანოს 1994-95 წლების უეფას საკლუბო შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად.



18 აგვისტო, 1993. „დინამო“ — „ლინფილდი“: საქართველოს ჩემპიონის პირველი მატჩი ჩემპიონთა თასზე

## ტიტეს ტური

ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის პირველ ფინალურ ტურში დიდებულად ითამაშა „მამულის“ 21 წლის მოთამაშემ ტიტე კალანდაძემ.

იგი „შევარდენი“ — „მამულის“ მატჩშიც (ფოტოზე) საუკეთესო იყო მოედანზე.

ტურის მასალები იხილეთ მეშვიდე გვერდზე



## აფრიკის თასი – ნიგერიას

გუშინწინ ტუნისში დამთავრდა აფრიკის მე-19 ჩემპიონატი ფეხბურთში. გადამწყვეტ შეხვედრაში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტმა ნიგერიამ 2:1 მოუგო ზამბიას და მოერედ მოიპოვა აფრიკის თასი. მესამე ადგილისათვის მატჩში სპილოს ძვლის ნაპირის ნაკრებმა მალის სძლია 3:1. 12 გუნდი მონაწილეობდა ფინალურ ტურნირში, სადაც შესარჩევი მატჩების შემდეგ ვერ მოხვდნენ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტები მაროკო და კამერუნი, ხოლო ალჟირი გათამაშებიდან მოხსნეს დებულების დარღვევის გამო. ნიგერიის ნაკრებმა, რომელსაც „ეინდჰოვენის“ ყოფილი მწვრთნელი ვესტერჰოფი თავკაცობდა, ფინალში შეძლო უკვე მესამე წუთზე გაშვებული გოლის ორ წუთში გაქვითვა, 47-ე წუთზე კი გამარჯვების გოლის გატანა. ორივე გოლი ბელგიის „ბრიუგეში“ მოთამაშე ემანუელ ამუნიკემ შეაგდო. ზამბიელები თამაშის ბოლო წუთამდე იბრძოდნენ, მაგრამ ჩინებულად ითამაშა გამარჯვებულთა მეკარემ პეტერ რუფაიმ. წაგების მიუხედავად ზამბიის ნაკრებმა, რომელიც შარშანდელი ავიაკატასტროფის მიუხედავად მაინც ფავორიტად ითვლებოდა, კარგი შთაბეჭდილება დატოვა რაც ინგლისელი მწვრთნელის იან პორტელფილდის დიდი დამსახურებაა.

## მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი

კვირას 10 აპრილს იტალიაში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც საქართველომ ოთხი ფალავანი გაამგზავრა: დავით პოღოსიანი (62 კგ), ჯონდო მოდოსიანი (82 კგ), ელდარ კურტანიძე (90 კგ) და ლევან ებანოიძე (მძიმე წონა). ტრადიციისამებრ, ჩვენ კვლავ არაფერი ვიცით ჩვენების გამოსვლის შესახებ, რადგან ვერც იტალიაში მივაწვდინეთ ვინმეს ხმა და იქიდანაც არავინ დაგვკავშირებია. იგივე გვითხრეს საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაშიც.

სხვადასხვა წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ გუნდური პირველი ადგილი რუსეთს მოუპოვებია, მეორე – სომხეთს, ხოლო მესამე-მეოთხე – გერმანიასა და თურქეთს გაუყვიათ. საქართველოს დელეგაცია ხვალ ბრუნდება სამშობლოში და ჩვენი მოჭიდავეების ამბავს ალბათ მაშინ შეიტყობთ.

## ევროტურნირები

ამ კვირაში საფეხბურთო ევროტურნირების რვა მატჩი გაიმართება. ჩემპიონთა თასზე ნახევარფინალისტები, თასებისა და უეფას თასებზე კი ფინალისტები გამოვლინდებიან, მანამდე კი ორი კვირის წინანდელი ამბები მიმოვიხილოთ

### ჩემპიონთა ლიგა

მეხუთე ტური. 30 მარტი

„ბარსელონა“ — „გალათასარაი“ 3:0. ისევე, როგორც ესპანეთის ჩემპიონატში, „ბარსა“ აქაც დიდი შედეგიანობით გამოირჩევა. თავად განსაჯეთ: ჯგუფში მონაწილე დანარჩენ სამ გუნდს 13 გოლი აქვს გატანილი, მხოლოდ „ბარსელონას“ კი – 12. ამჯერად კატალონიელებმა უსტოიჩკოვოდაც რიგიანად ითამაშეს და ძალების დაუძაბავად სძლიეს „გალათასარაის“. ამორმა, კუმანმა პე-

იხილეთ მესამე გვერდი

## საქართველოს ჩემპიონობა — ტექნიკურ უნივერსიტეტს

6 აპრილს დამთავრდა საქართველოს ქალთა საკალათბურთო ჩემპიონატი. ხუთწრიან ტურნირში შარშანდელი ჩემპიონობა შეინარჩუნა საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, რომელმაც 25 თამაშიდან 23 მოიგო და ორი მოგებით აჯობა ქუთაისის „მეობას“. მესამე ადგილზეა საქართველოს დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, შემდეგ მოდიან: გორის ეკონომიკური ინსტიტუტი, ფიზკულტურის ინსტიტუტის „ტანდემი“, თბილისის „მართვე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი

### პირველი ჯგუფი

IV ტური, 29 მარტი

**დილა 2:1 იბერია**
გორი, სტადიონი „ქართლი"

დილა: ვოლკოვი, ბალაშვილი, წკრიალაშვილი, გაგნიძე, თარხნიშვილი, ელიკაშვილი (ეჯოშვილი 32), მარეხაშვილი, ხაჭაპურიძე, ტაბატაძე, რევაზიშვილი, მინდიაშვილი
იბერია: გვენცაძე, ჯიკაევი, ნარმანია, ბ. ჩადუნელი, სამხარაძე, ტყემალაძე, მაქაცარია, ბაკურაძე, მარლიშვილი, ქობელაშვილი, მინაშვილი

1:0 მარეხაშვილი (55)
1:1 მაქაცარია (75)
2:1 მარეხაშვილი (90)

გაფრთხილება: ნარმანია
მსაჯი: მ. მირცხულავა (ლანჩხუთი)

**ტორპედო 0:1 სამტრედია**
ქუთაისი, ცენტრალური სტადიონი

ტორპედო: ნიშნიანიძე, ნოზაძე, ჩხაბერიძე, დიდავა, ხართიშვილი, ვოსკანოვი, ჯინჭარაძე (ხუჭუა 46), შეყრილაძე, მაღლაკელიძე, კვეტენაძე, ვაჩიბერაძე
სამტრედია: მიქაძე, იონანიძე, გ. ვაშაკიძე, ბზიკაძე, გოგელიძე, წულაია, გოგიაშვილი, ჭყონია, ჯანაშია, ფანჩულიძე, გენძეხაძე (ი. ვაშაკიძე 88)

0:1 იონანიძე (25)

გაფრთხილება: გოგელიძე
მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

**კოლხეთი 2:1 შევარდენი**
ფოთი, სტადიონი „კოლხეთი"

კოლხეთი 1913: დევაძე, მიქაბერიძე, ტორჩინავა, გოროზია, ლალანიძე, ცომაია, კიკლიაშვილი, მახარაძე, ჯულელი, დარასელია (პაპავა 89), ჩხაიძე
შევარდენი 1906: ჭანტურია, ელიაშვილი, ტარტარაშვილი, მელქაძე, ჯიშკარიანი, ნადირაძე, რუსია, გოგიტაძე, გოგიჩაიშვილი, ჯიქია (ტარყაშვილი 75), ჯანაშია

0:1 ჯიშკარიანი (37)
1:1 მიქაბერიძე (43)
2:1 კიკლიაშვილი (74)

გაფრთხილება: დარასელია, გოროზია, ჯიშკარიანი
მსაჯი: გ. მიქაუტაძე (ქუთაისი).

**გურია 2:1 მარგვეთი**
ლანჩხუთი, სტადიონი „გურია"

გურია: აბუსერიძე, პაპავა, თევზაძე (განიევი 46), დანელია, იმნაძე, მალანია, ქიქავა, ლორია (კვინტრაძე 80), გოგოლაძე, ფრიდონაშვილი, გამცემლიძე
მარგვეთი: ნიქაბერიძე, ჩიხლაძე, გურიელიძე, გიგატაძე, ლონლაძე, წიქარიშვილი, გიორგაძე, ხუნდაძე, მეგრელაძე, მანაგაძე, შენგელია

1:0 ფრიდონაშვილი (44)
2:0 ფრიდონაშვილი (58)
2:1 ჩიხლაძე (70)

ხუნდაძემ ვერ გაიტანა პენალტი (87)
გაფრთხილება: მეგრელაძე, მანაგაძე
მსაჯი: რ. გარნოვსკი (სამტრედია)

**ბათუმი 2:3 დინამო**
ბათუმი, ცენტრალური სტადიონი

ბათუმი: ბალაძე, გოგიტიძე, შანიძე, ი. მახარაძე (ფუტკარაძე 83), შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ხომერიკი (ნასუაშვილი 85), ტულუში, კანტიძე
დინამო: ჩხეიძე, ბერაძე, ჩიქოვანი, ლობჟანიძე, ნემსაძე, კიკნაძე, ინალიშვილი, ჯამარაული, იაშვილი (ცქიტიშვილი 46), ყაველაშვილი, ანჩაბაძე

0:1 ყაველაშვილი (20)
0:2 ანჩაბაძე (32 პ)
1:2 თორლაშვილი (35)
2:2 ხომერიკი (75)
2:3 კიკნაძე (85)

გაფრთხილება: შანიძე
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

V ტური, 2 აპრილი

**იბერია 2:4 კოლხეთი**
ხაშური, ცენტრალური სტადიონი

იბერია: გვენცაძე, ჯიკაევი, მჭედლიშვილი, ბ. ჩადუნელი, ნარმანია, გ. ჩადუნელი, მაქაცარია, ტყემალაძე, მარლიშვილი, ქობელაშვილი, ბაკურაძე
კოლხეთი 1913: გვასალია, მიქაბერიძე, ლალანიძე (თიბილაშვილი 79), მაჭავარიანი, ქუნთელია, ცომაია, კიკლიაშვილი (ბულუხია 84), მახარაძე, ჯულელი, ტორჩინავა, ჩხაიძე

0:1 ჯულელი (28)
0:2 კიკლიაშვილი (57)
1:2 ქობელაშვილი (65)
1:3 მიქაბერიძე (77)
1:4 მახარაძე (85)
2:4 ბაკურაძე (87 პ)

გაფრთხილება: ტყემალაძე
მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

**სამტრედია 2:0 ბათუმი**
სამტრედია, ეროსი მანჯგალაძის სტადიონი

სამტრედია: მიქაძე, იონანიძე (ჩოხახიძე 86), გ. ვაშაკიძე, ბზიკაძე, გოგელიძე, წულაია, გოგიაშვილი, ჭყონია, ჯანაშია, ფანჩულიძე, გენძეხაძე (ამაშუკელი 87)
ბათუმი: ბალაძე, გოგიტიძე, შანიძე, ი. მახარაძე, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ხომერიკი, ტულუში, მუჯირი (ფუტკარაძე 27)

1:0 ჯანაშია (32)
2:0 ჯანაშია (80)

მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

**დინამო 5:0 გურია**
თბილისი, ეროვნული სტადიონი

დინამო: ზოიძე, ბერაძე, ჩიქოვანი, ლობჟანიძე, ნემსაძე, რევიშვილი, ინალიშვილი, ჯამარაული, იაშვილი (კიკნაძე 67), ყაველაშვილი, ანჩაბაძე (ცქიტიშვილი 75)
გურია: აბუსერიძე, პაპავა, თევზაძე, დანელია, ბუცურეიშვილი (კვინტრაძე 75), მალანია, ნარიაშვილი, ქიქავა, გოგოლაძე, ფრიდონაშვილი, გამცემლიძე (ლორია 35)

1:0 იაშვილი (7)
2:0 ყაველაშვილი (63)
3:0 ჯამარაული (71)
4:0 რევიშვილი (84)
5:0 ინალიშვილი (87)

მსაჯი: ჯ. წერეთელი (რუსთავი)

**შევარდენი 0:0 ტორპედო**
თბილისი, სტადიონი „შევარდენი"

შევარდენი 1906: ნაჭყებია, ელიაშვილი, კვიტატიანი, მელქაძე, ტარტარაშვილი, ნადირაძე, რუსია (ბუკია 46), გოგიტაძე, გოგიჩაიშვილი, ჯიქია, ჯანაშია
ტორპედო: ნიშნიანიძე, ნოზაძე (გიორგობიანი 46), ჩხაბერიძე, დიდავა (ვაჩიბერაძე 46), ხართიშვილი, ვოსკანოვი, თურმანიძე, ხუჭუა, მაღლაკელიძე, კვეტენაძე, სადილიანი

მსაჯი: მ. ჯულაყიძე (სამტრედია)

**მარგვეთი 2:1 დილა**
ზესტაფონი, ცენტრალური სტადიონი

მარგვეთი: ნიქაბერიძე, ჩიხლაძე, გაბრიჭიძე, გიგატაძე, ლონლაძე, წიქარიშვილი, გიორგაძე, ხუნდაძე, მინაშვილი (ლანჩავა 85), მანაგაძე, შენგელია
დილა: სოლოღაშვილი, ბალაშვილი, წკრიალაშვილი, გაგნიძე, თარხნიშვილი, ეჯოშვილი (ელიკაშვილი 65), მარეხაშვილი, ხაჭაპურიძე, ტაბატაძე, რევაზიშვილი, მინდიაშვილი

0:1 გაგნიძე (12)
1:1 ხუნდაძე (40)
2:1 მანაგაძე (55)

გაფრთხილება: წიქარიშვილი
მსაჯი: ა. მიქაუტაძე (ქუთაისი)

VI ტური, 10 აპრილი

**გურია 3:0 სამტრედია**
ლანჩხუთი, სტადიონი „გურია"

გურია: კუნჭულია, პაპავა, თევზაძე, დანელია, იმნაძე, განიევი (კვინტრაძე 75), ნარიაშვილი (ჩყონია 85), რეხვიაშვილი, გოგოლაძე, ფრიდონაშვილი, ქიქავა
სამტრედია: მიქაძე, იონანიძე, გ. ვაშაკიძე, ბზიკაძე, გოგელიძე, წულაია, გოგიაშვილი (ტონია 70), ჭყონია, ჯანაშია, ფანჩულიძე, გენძეხაძე

1:0 თევზაძე (30)
2:0 კვინტრაძე (83)
3:0 თევზაძე (88)

გაფრთხილება: განიევი, ნარიაშვილი, ტონია
მსაჯი: მ. კობიაშვილი (დუშეთი)

**კოლხეთი 3:1 ტორპედო**
**ბათუმი 2:0 შევარდენი**
**იბერია 2:0 მარგვეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 6 | 6 | 0 | 0 | 18-3 | 18 |
| კოლხეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 20-7 | 18 |
| გურია | 6 | 3 | 0 | 3 | 10-13 | 9 |
| სამტრედია | 6 | 3 | 0 | 3 | 6-10 | 9 |
| ტორპედო | 6 | 2 | 1 | 3 | 9-8 | 7 |
| იბერია | 6 | 2 | 1 | 3 | 7-9 | 7 |
| დილა | 6 | 2 | 0 | 4 | 6-11 | 6 |
| ბათუმი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-7 | 4 |
| მარგვეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-9 | 3 |
| შევარდენი | 5 | 0 | 1 | 4 | 1-8 | 1 |

### XI-XIX ადგილები

IV ტური, 30 მარტი

**ალაზანი 3:0 სამგურალი**
1:0, 2:0 ჭინჭარაული (23, 67), 3:0 ყიზილაშვილი (71)

**კახეთი 1:2 მეტალურგი**
0:1 ალადაშვილი (39), 1:1 სანადირაძე (54), 1:2 ლუდუშაური (69)

**მაღაროელი 3:1 მრეტები**
1:0 მწყერაშვილი (11), 1:1 ძაბირაძე (30), 2:1 ბრეგვაძე (48), 3:1 მწყერაშვილი (57)

**შუქურა 0:2 საპოვნელა**
0:1 გოდერძიშვილი (55), 0:2 ბუნტური (65)

V ტური, 3 აპრილი

**სამგურალი 3:2 შუქურა**
1:0 ხურცილავა (28), 2:0 ვ. ჯანელიძე (54), 2:1 ჩელებაძე (54), 3:1 ხურცილავა (67), 3:2 კაკუბავა (88)

**ოდიში 0:0 ალაზანი**

**მეტალურგი 8:0 მაღაროელი**
1:0 ვ. კილასონია (7), 2:0 ლუდუშაური (19), 3:0 თ. მეტრეველი (28), 4:0, 5:0 ვ. კილასონია (32, 38), 6:0 გ. კილასონია (70), 7:0 ვ. კილასონია (78), 8:0 გ. კილასონია (80)

**საპოვნელა 2:1 კახეთი**
1:0 ბრეგვაძე (10), 1:1 ჭვრიტიძე (41), 2:1 გენაძე (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეტალურგი | 5 | 5 | 0 | 0 | 25-3 | 15 |
| საპოვნელა | 5 | 3 | 0 | 2 | 9-6 | 9 |
| ალაზანი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-7 | 8 |
| კახეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 12-8 | 6 |
| სამგურალი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-10 | 6 |
| მაღაროელი | 4 | 2 | 0 | 2 | 9-16 | 6 |
| ოდიში | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| შუქურა | 5 | 1 | 0 | 4 | 3-13 | 3 |
| მრეტები | 4 | 0 | 1 | 3 | 3-8 | 1 |

საქართველოს ჩემპიონატი

# «დინამო» და «კოლხეთი-1913» უდანაკარგოდ

**დილა 0:3 დინამო**
გორი, სტადიონი „ქართლი"
VI ტური, 10 აპრილი

დილა: სოლოღაშვილი, ბალაშვილი, წკრიალაშვილი, გაგნიძე, თარხნიშვილი (ფეზუაშვილი 35), მარეხაშვილი, ხაჭაპურიძე, ტაბატაძე, რევაზიშვილი (ხიზანიშვილი 75), მინდიაშვილი.
დინამო: ჩხეიძე, ბერაძე, ჩიქოვანი, ლობჟანიძე, ნემსაძე, რევიშვილი, ინალიშვილი, ჯამარაული, იაშვილი, ყაველაშვილი, ანჩაბაძე.

1:0 ინალიშვილი (7)
2:0 ინალიშვილი (32)
3:0 ნემსაძე (86)

მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

გორის ცენტრალურ სტადიონზე ბალახი იყო დათესილი და ამიტომ „დილამ" „დინამოს" „ქართლის" ყოვლად უვარგისსაფარიან მინდორზე უმასპინძლა. დინამოელები აქამდე ისედაც ყველას უგებდნენ ჩემპიონატში და უეფას მოულოდნელმა საჩუქარმა ხომ მთლად ფრთები შეასხა მათ. „დილამ" სულ რამდენიმე წუთი გაუწია წინააღმდეგობა „დინამოს", უკვე მეშვიდე წუთზე ანჩაბაძის კარგი პასის შემდეგ ინალიშვილმა თაური დარტყმით გახსნა ანგარიში, ოცდახუთი წუთის შემდეგ მანვე თავისი საფირმო ძლიერი დარტყმით თექვსმეტი მეტრიდან გააორმაგა იგი. მეორე ტაიმში დინამოელთა უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ მათ ათამდე საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს: ორჯერ ყაველაშვილმა, რევიშვილმა, იაშვილმა, ნემსაძემ... ინალიშვილმა ძელსაც გაარტყა ბურთი. მატჩის მიწურულს ნემსაძე კარგად გაძვრა ორ ცორელს შორის და მესამე გოლი გაიტანა „დილას" კარში. „დინამომ" ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო დიდი ანგარიშით.

მამუკა კვარაცხელია

იყიდება
ისრაელის წარმოების
წყლის გამაცხელებელი
ATMOR
SUPER-5
(5 კვტ. 220 ვ.), ფასი
80 $. ტელეფონი 39-36-78



## კონსტანტინე შანიძე-75

ვინც ერთხელ მაინც ყოფილა „დინამოს" სტადიონზე ჩვენი გუნდის ზეობის პერიოდში, უეჭველად შეამჩნევდა ჭალარა ფოტოგრაფს, კონსტანტინე შანიძეს.

ბატონი კონსტანტინე 1937 წლიდან მუშაობს „დინამოს" სტადიონზე და უკვე 57 წელია, საყვარელი „დინამოს" თამაში არ გაუცდენია. იგი დღესაც სტადიონზე მუშაობს მთავარ ინჟინერ-ენერგეტიკოსად, არც საყვარელ საქმეს ღალატობს: ყველა თამაშს ფირზე აღბეჭდავს და თავის უნიკალურ, საფეხბურთო ფოტომატიანეს ამდიდრებს.

„დინამოს" კიდევ მრავალ წარმატებას მოსწრებოდეთ, ბატონო კონსტანტინე!

# ორი ნახევარფინალი - ნახევარფინალში

საქართველოს თასი. მეოთხედფინალი. 25-26 მარტი, 6 აპრილი.
დინამო — სამგურალი 11:0, 1:3
შევარდენი-06—კოლხეთი-13 1:1, 1:1 პ 5:4
მეტალურგი — თეთრი არწივი 4:2, 2:1
გურია — ბათუმი 2:0, 0:4
ნახევარფინალები — 14 და 22 აპრილს: კოლხეთი 1913 — დინამო, ბათუმი — მეტალურგი.

პირველ წყვილში ყველაფერი თბილისში გაირკვა, როცა „დინამომ" რეკორდული ანგარიშით მოუგო „სამგურალს". ეს მატჩი იმითაც იყო აღსანიშნავი დინამოელთათვის, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ პირველი მატჩი ითამაშა ჯამარაულმა, ხოლო დინამოელთა დებიუტანტმა დათო ნეფარიძემ იაშვილის ჯენტლმენური პასის შემდეგ დებიუტი გოლით აღნიშნა. წყალტუბოში დინამოელებმა ახალგაზრდები გაუშვეს, თანაც „უფროსები": ნეფარიძე, ბერაძე და ქველაძეც გააყოლეს. მეორე მატჩიც ისტორიაში შევიდა, რადგან წყალტუბოელებმა პირველად შესძლეს დინამოელთა დამარცხება.

თბილისელი გულშემატკივრები მოუთმენლად ელოდნენ ფოთელთა გამოჩენას, აინტერესებდათ, მართლაც კარგი გუნდი იყო „კოლხეთი 1913" თუ „გაბუქული". პირადად მე დავრწმუნდი, რომ ფოთელები მეტად პრაქტიკულ ფეხბურთს თამაშობენ: ლანჩხუთელ მწვრთნელს გიგლა იმნაძეს ახალი შტრიხები შეუტანია გუნდში, ფომენკოსეულ-ლანჩხუთური: მჭიდრო, ხისტი თამაში, ბურთის კოლექტიური ართმევა, სტანდარტული სიტუაციების გამოყენების თავისებური სტილი. ამას დაემატა ხელოვნური ოფსაიდის ავტომატიზმამდე დახვეწილი მექანიზმი, რომელსაც მე „ტოტალურ ოფსაიდს" დავარქმევდი: რამდენიმე წამში მთელი გუნდი მინდვრის შუაგულში ასწრებს არბენას და მეტოქეს სახტად ტოვებს. კიდევ ერთი რამ იყო თვალშისაცემი: ფოთელთა ნახევარმცველები ცდილობდნენ მინდვრის შუაგულშივე „მოეხრჩოთ" მეტოქე და თუ ამას წესის დაურღვევლად ვერ აკეთებდნენ, არც უხეშ თამაშს თაკილობდნენ. შევარდენთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ არც ერთ მატჩში ტოლი არ დაუდეს მეტოქეს.

მეორე მატჩშიც იგებდნენ შევარდნები, მაგრამ მატჩის 85-ე წუთზე ფოთელებმა პენალტით ანგარიში გაათანაბრეს. დამატებითი დროის მეორე ტაიმში ჯიქიამ მეორე გოლი გაიტანა, მაგრამ მთავარმა მსაჯმა სერგო კვარაცხელიამ არ ჩათვალა იგი, რადგან თანამსაჯს, ფოლადაშვილს ოფსაიდის აღმნიშვნელი ალამი ჰქონდა აწეული. მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ მეხუთე ჩემპიონატში ისედაც დათარსული „შევარდენი" მსაჯების შეცდომების წყალობით ქულებსაც ჰკარგავს და თასისთვის ბრძოლასაც გამოეთიშა. მატჩის ვიდეოჩანაწერის ნახვის შემდეგ კვარაცხელიამ ჩემთან საუბარში აღიარა, რომ ჯიქიას გოლი ასპროცენტიანი ყოფილა და იგი ფოლადაშვილის შეცდომამ დაღუპა. მსაჯთა ასოციაციის სამდივნომ ფოლადაშვილს 1994 წელს მთლიანად აუკრძალა მსაჯობა, კვარაცხელიასა და მეორე ლაისმენს, ხერუაშვილს კი 1993-94 წლების სეზონის ბოლომდე. გარდა ამისა სამივე მსაჯი სოლიდურ ფულად ჯარიმას გადაიხდის. ასოციაციის სამდივნომ მსაჯობა შეაფასა როგორც „არაკვალიფიციური, რომელმაც იმოქმედა მატჩის შედეგზე". სამწუხაროდ, ამით კვლავ „შევარდენი" დაზარალდა.

მამუკა კვარაცხელია

სარბიელი
ტოტალიზატორი "CROCO"

უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 13 აპრილი | მონაკო — ბარსელონა | | 2,0 | 2,0 | 2,6 |
| | მონაკო — ბარსელონა | 0:1 | 4,0 | 2,2 | 1,2 |
| | მონაკო — ბარსელონა | 1:0 | 1,2 | 2,2 | 4,0 |
| | გალათასარაი — სპარტაკი | | 2,0 | 2,0 | 2,6 |
| | გალათასარაი — სპარტაკი | 0:1 | 4,0 | 2,2 | 1,2 |
| | გალათასარაი — სპარტაკი | 1:0 | 1,2 | 2,2 | 4,0 |
| | ანდერლეხტი — ვერდერი | | 1,3 | 2,4 | 4,5 |
| | ანდერლეხტი — ვერდერი | 0:1 | 3,0 | 2,4 | 1,3 |
| | ანდერლეხტი — ვერდერი | 1:0 | 1,1 | 4,8 | 7,5 |
| | პორტუ — მილანი | | 2,0 | 2,0 | 2,6 |
| | პორტუ — მილანი | 0:1 | 4,0 | 2,2 | 1,2 |
| | პორტუ — მილანი | 1:0 | 1,2 | 2,2 | 4,0 |
| | პარმა — ბენფიკა | | 1,3 | 2,3 | 5,0 |
| | პარმა — ბენფიკა | 0:1 | 3,0 | 2,4 | 1,3 |
| | პარმა — ბენფიკა | 1:0 | 1,1 | 5,2 | 7,8 |

ერთი და იგივე თამაშის ერთ ვარიანტში ორჯერ შეტანა აკრძალულია
ფსონები მიიღება ეროვნული სტადიონის მეხუთე სლაროში

ტოტოლოტო
საფეხბურთო პროგნოზი

ტირაჟი № 11 23-27 აპრილი

| | | I წრე | პროგნოზი | |
|---|---|---|---|---|
| | გერმანიის ჩემპიონატი | | | |
| 1 | ვერდერი — კიოლნი | 0:2 | 5 3 2 | 1 X |
| 2 | დორტმუნდი — აინტრახტი | 0:2 | 6 3 1 | 1 |
| 3 | დუისბურგი — კარლსრუე | 0:5 | 3 4 3 | 1 X 2 |
| 4 | ჰამბურგი — მიონხენგლადბახი | 2:2 | 5 4 1 | 1 X |
| | იტალიის ჩემპიონატი | | | |
| 5 | ინტერი — რომა | 1:1 | 6 2 2 | 1 |
| 6 | კალიარი — მილანი | 2:1 | 4 3 3 | 1 X 2 |
| 7 | ნაპოლი — პარმა | 3:1 | 4 3 3 | 1 X 2 |
| 8 | პიაჩენცა — იუვენტუსი | 0:2 | 2 3 5 | X 2 |
| 9 | რეჯანა — სამპდორია | 0:1 | 2 5 3 | X 2 |
| | ჩემპიონთა ლიგა | | | |
| 10 | ბარსელონა — პორტუ | | 6 3 1 | 1 |
| 11 | მილანი — მონაკო | | 7 2 1 | 1 |

მოგების მინიმალური ფონდია — 3 000 000 კუპონი.
შევსებული ბილეთების ჩაბარების ბოლო ვადა: თბილისში — ყოველი კვირის ხუთშაბათი, 15 საათამდე, ცენტრალური ტელეგრაფის შენობაში.
ცნობებისათვის დარეკეთ: 96-32-61

# იტალია

XXIX ტური. 25-27 მარტი. პარმა — ატალანტა 2:1, ინტერი — ჯენოა 1:3, კრემონეზე — რეჯანა 1:1, უდინეზე — პიაჩენცა 2:2, ნაპოლი — მილანი 1:0, რომა — ლეჩე 3:0, ტორინო — ლაციო 1:1, კალიარი — იუვენტუსი 0:1, სამპდორია — ფოჯა 6:0.

XXX ტური. 1-2 აპრილი. ატალანტა — უდინეზე 1:1, კრემონეზე — სამპდორია 0:0, ფოჯა — პიაჩენცა 1:0, ჯენოა — ლაციო 1:1, იუვენტუსი — ინტერი 1:0, ლეჩე — ტორინო 1:2, მილანი — პარმა 1:1, რეჯანა — ნაპოლი 1:0, რომა — კალიარი 2:0.

გამოტოვებული მატჩი: რეჯანა — პარმა 2:0.

XXXI ტური. 8-10 აპრილი. ლაციო — ატალანტა 3:1, პიაჩენცა — კრემონეზე 1:1, უდინეზე — ფოჯა 3:0, სამპდორია — ჯენოა 1:1, ნაპოლი — იუვენტუსი 0:0, ინტერი — ლეჩე 4:1, ტორინო — მილანი 0:0, კალიარი — რეჯანა 3:0, პარმა — რომა 0:2.

„ტორინოსა" და „მილანის" მატჩი ევროთასების გამო პარასკევს შედგა. 35 ათასი კაცი გააწბილა უფერულმა თამაშმა, თუმცა მორიგი ნულოვანი ფრე აწყობდა „მილანს". მას დარჩენილ სამ ტურში ჩემპიონობისთვის ერთი ქულაც ყოფნის. უფერულად ითამაშეს პაპენმა და სავიჩევიჩმა და ისინი კაპელომ მეორე ტაიმში შეცვალა. დაძაბული გამოდგა მატჩი გენუაში, სადაც „ჯენოამ" ქულა დააკარგვინა მეორე ადგილისთვის მებრძოლ თანაქალაქელებს. მე-13 წუთზე ჰოლანდიელმა მარსიანო ფინკმა „სამპდორიას" მთელი დაცვა მოატყუა მეკარიანად და გახსნა ანგარიში, რომელიც ორიოდ წუთში ჩერნოგორიელმა ვლადიმირ იუგოვიჩმა გაათანაბრა. ტურში ორი ჰეთ-თრიქი აღინიშნა. „ლაციო" აგებდა „ატალანტასთან", მაგრამ ჯუზეპე სინიორის ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმებმა ბერგამოელები უკვე ოფიციალურად გადააფორმა სერია „B"-ში, სადაც მანამდე „ლეჩეც" გადავიდა. უეფას თასის ნახევარფინალისტებმა დიდი ანგარიშით მოიგეს. პანამელმა დელი ვალდესმა სამი გოლი გაუტანა „რეჯანას", „ინტერის" 4 გოლიდან კი სამი ჰოლანდიელების იონკის და ბერხკამპის ანგარიშზეა. „რომამ" სტუმრად მოუგო „პარმას", რომელიც გადაღლილი გამოიყურებოდა. უკვე 0:2 იყო (გოლები არგენტინელმა ბალბომ და მცველმა ფესტამ გაიტანეს), როცა მსაჯმა კარბონესთან უხეშობისთვის მოედნიდან მასპინძელთა მცველი ბალერი გააძევა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი (1) | 31 | 19 | 10 | 2 | 34-12 | 48 |
| იუვენტუსი (4) | 31 | 15 | 12 | 4 | 51-24 | 42 |
| სამპდორია (7) | 31 | 17 | 7 | 7 | 57-33 | 41 |
| ლაციო (5) | 31 | 15 | 10 | 6 | 47-31 | 40 |
| პარმა (3) | 31 | 16 | 6 | 9 | 47-32 | 38 |
| ტორინო (9) | 31 | 11 | 11 | 9 | 37-30 | 33 |
| ნაპოლი (11) | 31 | 10 | 11 | 10 | 37-34 | 31 |
| ინტერი (2) | 31 | 11 | 8 | 12 | 42-38 | 30 |
| რომა (10) | 31 | 8 | 14 | 9 | 28-27 | 30 |
| კრემონეზე (დ) | 31 | 9 | 11 | 11 | 36-36 | 29 |
| ფოჯა (12) | 31 | 8 | 13 | 10 | 39-44 | 29 |
| ჯენოა (13) | 31 | 7 | 15 | 9 | 29-35 | 29 |
| კალიარი (6) | 31 | 9 | 11 | 11 | 37-45 | 29 |
| პიაჩენცა (დ) | 31 | 8 | 12 | 11 | 31-40 | 28 |
| რეჯანა (დ) | 31 | 8 | 10 | 13 | 23-34 | 26 |
| უდინეზე (14) | 31 | 7 | 12 | 12 | 30-42 | 26 |
| ატალანტა (8) | 31 | 4 | 10 | 17 | 31-61 | 18 |
| ლეჩე (დ) | 31 | 3 | 5 | 23 | 26-64 | 11 |

# გერმანია

XXVII ტური. 25-27 მარტი. კაიზერსლაუტერნი — დინამო 0:0, კიოლნი — დუისბურგი 1:0, აინტრახტი — შტუტგარტი 0:0, მიონხენგლადბახი — ლაიპციგი 6:1, ნიურნბერგი — ლევერკუზენი 2:3, კარლსრუე — ფრაიბურგი 2:1, ვერდერი — შალკე 0:1, დორტმუნდი — ვატენშაიდი 2:0, ჰამბურგი — ბაიერნი 1:2. წინა ტურის გამოტოვებული მატჩი: ვატენშაიდი — ვერდერი 2:2.

XXVIII ტური. 1-2 აპრილი. დორტმუნდი — ვერდერი 3:2, ლევერკუზენი — კარლსრუე 3:1, დინამო — ნიურნბერგი 1:1, ვატენშაიდი — ჰამბურგი 3:1, ბაიერნი — კიოლნი 1:0, დუისბურგი — მიონხენგლადბახი 2:0, შტუტგარტი — კაიზერსლაუტერნი 1:1, ფრაიბურგი — შალკე 2:3, ლაიპციგი — აინტრახტი 1:0.

XXIX ტური. 5-6 აპრილი. კიოლნი — ვატენშაიდი 3:2, კარლსრუე — დინამო 1:0, აინტრახტი — დუისბურგი 1:2, შალკე — ლევერკუზენი 1:1, ვერდერი — ფრაიბურგი 3:2, ჰამბურგი — დორტმუნდი 0:0, მიონხენგლადბახი — ბაიერნი 2:0, ნიურნბერგი — შტუტგარტი 1:0, კაიზერსლაუტერნი — ლაიპციგი 1:0.

XXX ტური. 8-10 აპრილი. ვატენშაიდი — მიონხენგლადბახი 3:1, ლაიპციგი — ნიურნბერგი 0:2, დინამო — შალკე 1:0, ბაიერნი — აინტრახტი 2:1, ლევერკუზენი — ფრაიბურგი 2:1, შტუტგარტი — კარლსრუე 3:0, ჰამბურგი — ვერდერი 1:1, დორტმუნდი — კიოლნი 2:1, დუისბურგი — კაიზერსლაუტერნი 1:7.

კვირას „ბაიერნთან" განცდილი მორიგი მარცხის შემდეგ „აინტრახტის" პრეზიდენტმა მათიას ომსმა გამოაცხადა, რომ გუნდი დატოვეს მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა და მეკარე ული შტაინმა. 42 წლის ტოპმიოლერი ბუნდესლიგაში თავისი პირველი სეზონის დამთავრებას ვერ მოესწრო სწორედ იმის გამო, რომ ყველაფერში უჯერებდა 39 წლის მეკარე ული შტაინს, რომელიც ამ ნდობამ ისე გაათამამა, რომ გუნდში „ქურდად მოჯდა". მაგალითად, „ლაიპციგთან" წაგების შემდეგ მწვრთნელს უთხრა, ფურტოკი და ბინცი აღარ ათამაშოო და ასეც მოხდა. „აინტრახტის" ფეხბურთელებს ყელში ამოუვიდათ შტაინის თვითნებობა და მას შემდეგ, რაც მეკარემ ერთ-ერთ ვარჯიშზე საშინლად გალანძღა ფურტოკი, კლუბის პრეზიდენტს მიმართეს. კვირას ომსმა აღიარა, რომ უფრო ადრე უნდა მიეღო ზომები ჭირვეული მეკარის მიმართ. მანვე გამოაცხადა, რომ სეზონის ბოლომდე გუნდს გაწვრთნის ტოპმიოლერის თანაშემწე კარლ-ჰაინც კორბელი, კარს კი თომას ერნსტი დაიცავს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი (2) | 30 | 15 | 9 | 6 | 60-32 | 39 |
| კაიზერსლ. (8) | 30 | 14 | 7 | 9 | 53-35 | 35 |
| ლევერკუზ. (5) | 30 | 13 | 9 | 8 | 54-41 | 35 |
| დორტმუნ. (4) | 30 | 13 | 8 | 9 | 43-42 | 34 |
| აინტრახტი (3) | 30 | 13 | 7 | 10 | 48-35 | 33 |
| კარლსრუე (6) | 30 | 12 | 9 | 9 | 39-34 | 33 |
| ჰამბურგი (11) | 30 | 13 | 7 | 10 | 45-42 | 33 |
| დუისბურგი (დ) | 30 | 13 | 7 | 10 | 37-47 | 33 |
| შტუტგარ. (7) | 30 | 11 | 10 | 9 | 46-38 | 32 |
| კიოლნი (12) | 30 | 13 | 6 | 11 | 42-41 | 32 |
| მ.გლადბახი (9) | 30 | 12 | 6 | 12 | 56-53 | 30 |
| ვერდერი (1) | 30 | 10 | 10 | 10 | 42-39 | 30 |
| შალკე (10) | 30 | 10 | 8 | 12 | 35-42 | 28 |
| ნიურნბერ. (13) | 30 | 9 | 7 | 14 | 36-45 | 25 |
| დინამო (15) | 30 | 8 | 13 | 9 | 30-40 | 25 |
| ფრაიბურგი (დ) | 30 | 7 | 8 | 15 | 47-56 | 22 |
| ვატენშ. (14) | 30 | 5 | 11 | 14 | 41-58 | 21 |
| ლაიპციგი (დ) | 30 | 3 | 10 | 17 | 26-60 | 16 |

# ესპანეთი

XXX ტური. 26-27 მარტი. ლა კორუნია — ატლეტიკო 4:1, რეალი — ვალენსია 3:2, ბარსელონა — ტენერიფე 2:1, სპორტინგი — სელტა 2:1, სევილია — ლოგრონიესი 4:1, რეალ სოსიედადი — რაიო ვალეკანო 1:1, ალბასეტე — ლერიდა 2:1, სარაგოსა — სანტანდერი 2:0, ოსასუნა — ატლეტიკო 0:1, ვალიადოლიდი — ოვიედო 0:0.

XXXI ტური. 2-3 აპრილი. ატლეტიკო — სპორტინგი 7:0, სელტა — რეალი 3:2, ვალენსია — სევილია 1:1, ლოგრონიესი — რეალ სოსიედადი 2:0, რაიო ვალეკანო — ალბასეტე 0:0, ლერიდა — ბარსელონა 1:2, ტენერიფე — სარაგოსა 5:3, სანტანდერი — ოსასუნა 3:1, ატლეტიკო — ვალიადოლიდი 2:0, ოვიედო — ლა კორუნია 2:5.

XXXII ტური. 6 აპრილი. რეალი — სპორტინგი 2:2, სევილია — სელტა 4:1, რეალ სოსიედადი — ვალენსია 0:0, ალბასეტე — ლოგრონიესი 2:2, ბარსელონა — რაიო ვალეკანო 1:0, სარაგოსა — ლერიდა 1:1, ოსასუნა — ტენერიფე 1:0, ვალიადოლიდი — სანტანდერი 0:3, ლა კორუნია — ატლეტიკო 2:1, ოვიედო — ატლეტიკი 3:0.

XXXIII ტური. 9-10 აპრილი. ატლეტიკი — რეალი 2:1, სპორტინგი — სევილია 0:1, სელტა — რეალ სოსიედადი 3:2, ვალენსია — ალბასეტე 4:0, ლოგრონიესი — ბარსელონა 0:0, რაიო ვალეკანო — სარაგოსა 1:2, ლერიდა — ოსასუნა 1:2, ტენერიფე — ვალიადოლიდი 0:2, სანტანდერი — ლა კორუნია 0:1, ატლეტიკო — ოვიედო 0:3.

ლიდერმა ზედიზედ ოთხი თამაში მოიგო და ახლა „ბარსელონას" დიდი ჯაფა დაადგება სიტუაციის შესაცვლელად. „ლა კორუნიამ" სტუმრად „სანტანდერს" მოუგო. მსაჯმა მასპინძლების კარში პენალტი დადო ვითომცდა ალფრედო სანტალენას წაქცევისთვის, თუმცა დაზარალებულმაც კი მატჩის შემდეგ აღიარა — თავად წავიქეცი და პენალტი არ იყოო. ასეა თუ ისე, ბრაზილიელმა დონატომ შანსი არ გაუშვა. ბილბაომ საბოლოოდ დამარხა „რეალის" იმედები: ლარასაბალის და სიგანდას გოლებს მიჩელმა მხოლოდ ერთით უპასუხა. „ვალენსიამ" ჰოლანდიელი მწვრთნელის ჰიდინკის დაბრუნების შემდეგ პირველი მოგება იზეიმა და „ალბასეტე" გაანადგურა ფერნანდო გომესის (3) და მიიატოვიჩის გოლებით. „ატლეტიკომ" ახალი მწვრთნელის, არგენტინელი ხორხე დ'ალესანდროს მოსვლით თითქოს გაუმჯობესა თამაში, მაგრამ ბოლო ტურში დამარცხდა და კვლავ სახიფათო ზონაში რჩება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლა კორუნია (3) | 33 | 20 | 9 | 4 | 50-18 | 49 |
| ბარსელონა (1) | 33 | 20 | 6 | 7 | 74-39 | 46 |
| რეალი (2) | 33 | 17 | 7 | 9 | 55-42 | 41 |
| სარაგოსა (9) | 33 | 16 | 7 | 10 | 59-41 | 39 |
| სევილია (7) | 33 | 14 | 10 | 9 | 51-35 | 38 |
| ატლეტიკი (8) | 33 | 15 | 8 | 10 | 53-38 | 38 |
| ალბასეტე (17) | 33 | 10 | 14 | 9 | 47-46 | 34 |
| ვალენსია (4) | 33 | 12 | 10 | 11 | 43-43 | 34 |
| სანტანდერი (დ) | 33 | 13 | 7 | 13 | 38-35 | 33 |
| ტენერიფე (5) | 33 | 14 | 5 | 14 | 45-48 | 33 |
| ოვიედო (16) | 33 | 11 | 10 | 12 | 37-45 | 32 |
| სპორტინგი (13) | 33 | 13 | 5 | 15 | 40-47 | 31 |
| სოსიედადი (12) | 33 | 11 | 9 | 13 | 36-45 | 31 |
| ლოგრონ. (15) | 33 | 7 | 14 | 12 | 41-50 | 28 |
| სელტა (11) | 33 | 9 | 10 | 14 | 32-43 | 28 |
| რაიო ვალ. (14) | 33 | 9 | 10 | 14 | 39-54 | 28 |
| ატლეტიკო (6) | 33 | 9 | 9 | 15 | 45-50 | 27 |
| ვალიადოლ. (დ) | 33 | 6 | 13 | 14 | 24-44 | 25 |
| ლერიდა (დ) | 33 | 6 | 11 | 16 | 26-45 | 23 |
| ოსასუნა (10) | 33 | 7 | 8 | 18 | 25-52 | 22 |

# აქეთ ჰიუზი, იქით სონდერსი

ინგლისის ლიგის თასი, ამჟამად „კოკა-კოლას" თასად წოდებული, ბირმინგემის „ასტონ ვილამ" მოიპოვა. კვირას „უემბლიზე" შეკრებილი 77 231 მაყურებელი დაძაბული და საინტერესო მატჩის მხილველი გახდა. პირველი წუთები „მანჩესტერის" უპირატესობით აღინიშნა. განსაკუთრებით აქტიურობდა კანტონა, რომელსაც ჩემპიონატში ხუთთამაშიანი დისკვალიფიკაცია აქვს და მხოლოდ სათასო შეხვედრებში თამაშობს. ამ დროს საგოლე მომენტი შეიქმნა, მაგრამ „ასტონ ვილას" ავსტრალიელმა მეკარე მარკ ბოსნიჩმა მოიგერია მარკ ჰიუზის დარტყმა. ამის შემდეგ ბირმინგემელებმა ზედიზედ სამი კუთხური მოაწოდეს. სწორედ ეს მომენტი გახდა გარდამტეხი თამაშში და 25-ე წუთზე ვილელმა დელიან ატკინსონმა გახსნა კიდეც ანგარიში. მთავარი მოვლენები შეხვედრის ბოლო ოც წუთში მოხდა: 73-ე წუთზე ჩვენი მომავალი მეტოქის, უელსის ნაკრების თავდამსხმელმა დინ სონდერსმა საჯარიმო შეაგდო. ათ წუთში მანჩესტერელმა როი კინმა რამდენიმე მცველი მოატყუა და მარკ ჰიუზს (ესეც უელსის ნაკრებიდან) გაატანინა გოლი, რომელმაც იმედი ჩაუსახა ჩემპიონს, მაგრამ ბოლო წუთზე ატკინსონის დარტყმული ბურთი კარიდან ხელით გამოიტანა კანჩელსკისმა, რომელიც უელსელმა მსაჯმა კუპერმა მყისვე გააძევა და მისი გუნდი პენალტით დასაჯა. სონდერსის დარტყმამ თასის მფლობელის ვინაობა საბოლოოდ გაარკვია.

მიუხედავად იმისა, რომ გოლების გატანაში მონაწილეობა არ მიუღია, გამოვყოფ „ასტონ ვილას" 19 წლის ნახევარმცველ გრემ ფენტონს, რომელმაც სისხლი გაუშრო პოლ ინსს. მაგრამ მთავარი დამსახურება მაინც ბირმინგემელთა მწვრთნელს რონ ატკინსონს მიუძღვის. მან ერთხელ, 1991 წელს, უკვე მოუგო თასის ფინალი „მანჩესტერ იუნაიტედს", როცა „შეფილდ უენსდეის" მწვრთნელი იყო.

„მანჩესტერ იუნაიტედი": სილი, პარკერი, ერვინი, ბრუსი (მაკლეირი 83), პალისტერი, კანტონა, ინსი, ჰიუზი, გიგზი (შარპი 61), კანჩელსკისი, კინი.

„ასტონ ვილა": ბოსნიჩი, ბარეტი, სთოუნთონი (კოქსი 79), ტილი, მაკგრაფი, რიჩარდსონი, სონდერსი, ატკინსონი, დეილი, თაუნსენდი, ფენტონი.

დავით მჭედლიშვილი,
„სარბიელის" ლონდონელი კორესპონდენტი.

# ევროტურნირები

(დასაწყისი პირველ გვერდზე)

ნალტით და შემცვლელად გამოსულმა ეუსებიომ სამი გოლი შეუგდეს „ლომთალომის" მეკარე ჰაირეთინს. თურქი გრანდი კვლავ უგოლოდ გავიდა მოედნიდან და ბოლო მატჩში „სპარტაკთან" ისღა დარჩა, როგორმე ერთი გოლი მაინც გაიტანოს.

„სპარტაკი" — „მონაკო" 0:0. მონტეკარლოელები უფრო ახლო იყვნენ მოგებასთან: კლინსმანმა ძელს გაარტყა ბურთი, თუმცა არც მათი მეკარე ეტორი იყო უსაქმოდ. მატჩი უჩვეულო თავპირისმტვრევით აღინიშნა და თუ გრიმანდიმ და ონოპკომ ბოლომდე გაძლეს, დასისხლიანებული ტერნავსკი მოედნიდან გაიტანეს. რაღა გასაკვირია, რომ როცა ბოლო წუთზე პიუელსაც ფეხი თავში გაარტყეს, მსაჯმა მყის დაამთავრა თამაში — ემანდ ხელში არავინ ჩამაკვდესო. 13 აპრილს „მონაკო" „ბარსელონას" მასპინძლობს და ჯგუფში პირველ ადგილზე გასასვლელად და, შესაბამისად, ნახევარფინალის საკუთარ მოედანზე ჩასატარებლად უნდა მოიგოს.

„ა" ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 5 | 3 | 2 | 0 | 12-3 | 8 |
| მონაკო | 5 | 3 | 1 | 1 | 9-3 | 7 |
| სპარტაკი | 5 | 0 | 3 | 2 | 4-11 | 3 |
| გალათასარაი | 5 | 0 | 2 | 3 | 0-8 | 2 |

ბოლო ტურში, 13 აპრილს თამაშობენ: მონაკო — ბარსელონა, გალათასარაი — სპარტაკი

„მილანი" — „ანდერლეხტი" 0:0. „მილანმა" ვერ მიულოცა თავის პრეზიდენტს სილვიო ბერლუსკონის იტალიის სენატის არჩევნებში გამარჯვება, თუმცა ნულოვანი ფრეც საკმარისი აღმოჩნდა ნახევარფინალში გასასვლელად. რადუჩოუს, მასაროს და დონადონის დარტყმები ბელგიელთა მეკარემ დე ვილდემ მოიგერია, ალბერტინის საჯარიმო — ძელმა. აშკარა მომენტი სტუმრებსაც ჰქონდათ, მაგრამ ჰოლანდიელმა ბოსმანმა იგი ვერ გამოიყენა, „ანდერლეხტს" კიდევ დარჩა ნახევარფინალში გასვლის თეორიული შანსი: თუ „პორტუმ" შინ ერთი ბურთით წააგო, ბელგიელებმა ბრიუსელში შერცხვენილი „ვერდერი" 7:0 უნდა დაამარცხონ.

„ვერდერი" — „პორტუ" 0:5. წლეულს პორტუგალიელებმა გამოიჭირეს გერმანელები: ჯერ იყო და „ბენფიკამ" ლევერკუზენი გააგდო, გუშინწინ კი „პორტუმ" მთლად დააბეჩავა გერმანიის ჩემპიონი. არადა, შეხვედრის წინ „პორტუს" ინგლისელი მწვრთნელი ბობი რობსონი ცუდ დღეში ჩავარდა: სამშაბათის ვარჯიშზე ტრავმა მიიღო სემედუმ. რობსონი იძულებული გახდა იგი ასევე ფეხმტკივანი პაულინიუთი შეეცვალა, მაგრამ მანაც მხოლოდ ცხრა წუთი გაძლო და ადგილი რუი ფილიპეს დაუთმო. სწორედ აქედან დაიწყო „ვერდერის" კოშმარი. გამოსვლიდან ორიოდ წუთში რუი ფილიპემ ცხრიანში გაარჭო ბურთი. მეორე გოლი 35-ე წუთზე ბულგარელმა კოსტადინოვმა გაიტანა. ამ ორი გოლის შუალედში ჰქონდათ მასპინძლებს რამდენიმე შანსი, მაგრამ 31 ათასი მაყურებელი ვერ მოესწრო „ვერდერის" გოლს. მეორე ტაიმში ოლივერ რეკი ჯერ სეკრეტარიუმ, რომელმაც ბალღივით მოატყუა ვოლტერი და შემდეგ კიდევ ერთმა შემცვლელმა დომინგუშმა ორი გოლი გაუტანეს, ბოლო წუთებში კი მეკარეს ავსტრიელი ჰერცოგი წაეხმარა, რისთვისაც გააძევეს, მის გუნდს კი ტიმოფტემ საბოლოოდ დაუსვა წერტილი. გამარჯვებული ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ვიტორ ბაია, ჟოაო პინტუ, რუი ჟორჟი, ფერნანდუ კოუტუ, ჟორჟე კოშტა, პაულინიუ (რუი ფილიპე 9), ანდრე, სეკრეტარიუ, ტიმოფტე, კოსტადინოვი (დომინგუში 73), დრულოვიჩი. ახლა „პორტუ" „მილანთან" შინ მოგების შემთხვევაში ჯგუფში პირველ ადგილზე გავა.

„ბ" ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 5 | 2 | 3 | 0 | 6-2 | 7 |
| პორტუ | 5 | 3 | 0 | 2 | 10-6 | 6 |
| ანდერლეხტი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-7 | 4 |
| ვერდერი | 5 | 1 | 1 | 3 | 9-14 | 3 |

ბოლო ტურში, 13 აპრილს თამაშობენ: პორტუ — მილანი, ანდერლეხტი — ვერდერი

## თასების თასი

ნახევარფინალი. 29 მარტი

„ბენფიკა" — „პარმა" 2:1. ასი ათასი კაცი მოწმე შეიქნა თასის მფლობელის დამარცხებისა. იასაიშის და რუი კოშტას გოლებს (8, 60) ძოლამ ერთით (13) უპასუხა, ბოლოს კი ვიტორ პანეირამ უხეიროდ შეასრულა იურანის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი.

„პარი სენ-ჟერმენი" — „არსენალი" 1:1. 35-ე წუთზე ლონდონელმა იან რაიტმა სეზონში თავისი 32-ე გოლი გაიტანა და მარცხის საფრთხე შეუქმნა პარიზელებს, რომლებსაც 35 თამაში არ წაუგიათ. მეორე ტაიმის დაწყებისთანავე ჟინოლას თაურმა გაახანგრძლივა „პსჟ"-ის წაუგებელი სერია.

## უეფას თასი

ნახევარფინალი. 29-30 მარტი

„კაზინო" — „კარლსრუე" 0:0. ვენის ერნსტ ჰაპელის სტადიონზე 48 ათასი მაყურებელი ელოდა მორიგი გერმანული კლუბის დამარცხებას და ასეც მოხდებოდა, მასპინძლებისთვის იღბალს რომ არ ეღალატა. ჰუიტერმა, მარკინიუმ და ჰფაიფენბერგმა ვერაფრით შესძლეს მეკარე ოლივერ კანის კარში გოლის გატანა. „კაზინოს" ორი ყვითელი ბარათის გამო არ ჰყავდა უძლიერესი ფორვარდი ნიკოლა იურცევიჩი. ამავე მიზეზით საპასუხო მატჩს გამოტოვებენ კარლსრუელები მეტცი და ვიტვერი, აგრეთვე ზალცბურგელთა კაპიტანი ჰერბერტ ვებერი. „ეს შეიძლება კარგიც იყოს — მე ხომ „აინტრახტთან" განმეორებითი მატჩიც გამოვტოვე, მაგრამ მაინც მოვიგეთ" — თქვა ვებერმა.

„კალიარი" — „ინტერი" 3:2. სარდინიელები ორჯერ აგებდნენ, მაგრამ ბოლო წუთებში ჯერ კრინიტიმ, 86-ე წუთზე კი შეცვლაზე გამოსულმა პანკარომ შანსი დაუტოვეს „კალიარის". მანამდე მილანელი ფონტოლანის გოლი (6) ოლივეირამ გაქვითა (11), 61-ე წუთზე სოსას მიერ გატანილი ბურთით კი „ინტერი" 81-ე წუთამდე იგებდა.

ზურაბ მეძველია

# სმიტის მეორე რაუნდი

უელსის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა მაიკ სმიტმა გასულ ოთხშაბათს განაცხადა, რომ ძირფესვიანად შეცვლის გუნდის სათამაშო ტაქტიკას. სმიტი, რომელიც 1974-79 წლებში უკვე წვრთნიდა უელსის ეროვნულ გუნდს, თავის მეორე რაუნდს ნაკრებში 20 აპრილს რექსჰემში შვედების წინააღმდეგ დაიწყებს. იგი დანიშნეს 17 მარტს, მას მერე, რაც წინამორბედმა მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა მარცხი იწვნია საშინაო მატჩში ნორვეგიასთან — 1:3.

57 წლის ყოფილი სკოლის მასწავლებელი მაიკ სმიტი აღარ აპირებს გააგრძელოს ტოშაკის ტაქტიკური ექსპერიმენტები და ამბობს: „მე ვერ გავაკეთებ იმას, რასაც ტოშაკი აკეთებდა, ვინაიდან მის შეხედულებებს არ ვეთანხმები. ნაკრების ფეხბურთელებმა ისე უნდა ითამაშონ, როგორც კლუბებში არიან დაჩვეული. ამით ტოშაკს კი არ ვაკრიტიკებ — იმის თქმა მსურს, რომ ჩემს ხელში გუნდი სხვანაირად ითამაშებს". სმიტი უკვე შეუდგა შემადგენლობის გადახალისებას და ნაკრებიდან გაუშვა ნათან ბლეიკი („შეფილდ იუნაიტედი") და ჯეისონ პერი („კარდიფ სიტი"), რომლებსაც ნორვეგიასთან დებიუტი ჰქონდათ. მათ ნაცვლად გუნდს დაუბრუნდნენ მარკ ბოუენი („ნორვიჩ სიტი") და კიტ სიმონსი („პორსმუტი"). შვედებთან სათამაშოდ 18 ფეხბურთელია გამოძახებული: ნევილ საუთოლი, ტონი რობერტსი, დავიდ ფილიპსი, ბარი ჰორნი, კიტ სიმონსი, ერიკ იანგი, კრის კოულმენი, ენდი მელვილი, ჯერემი გოსი, მარკ ბოუენი, ივან რობერტსი, გარი სპიდი, დინ სონდერსი, იან რაში, მარკ ჰიუზი, რაიან გიგზი, მარკ რებრიჯი და გერი ჰიუზი.

# ჩივაძე აღტაცებულია გერმანელთა თამაშით

ერთ წელიწადში, 1995 წლის 29 მარტს საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში გერმანიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. როგორც იცით, გერმანელებმა ამას წინათ ამხანაგური თამაში მოუგეს იტალიელებს — 2:1. საინტერესოა, რა შთაბეჭდილება დარჩა მომავალ მეტოქეზე ჩვენი ნაკრების მთავარ მწვრთნელს ალექსანდრე ჩივაძეს:

„გერმანია — იტალიის მატჩმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა გერმანული ფეხბურთის სიძლიერეში, იმაში, რომ მსოფლიოს ღირსეული ჩემპიონი ჰყავს. გერმანელთა თამაშში თანამედროვე ფეხბურთის ყველა ძირითადი პრინციპი იგრძნობა. ყველა ნიუანსის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მთავარი, რაზეც არის აგებული გერმანიის ნაკრების სიძლიერე არის ფეხბურთელთა მაღალი შრომისუნარიანობა და მათი უნივერსალურობა: როცა ბურთის დაკარგვის შემთხვევაში ყველას შეუძლია დაცვის გამაგრება და შეტევაშიც ყველას შეუძლია თამაშის თავის თავზე აღება. მოკლედ შემიძლია ვთქვა, რომ გერმანიის ნაკრების თამაში იდეალურს უახლოვდება. ბოლოს მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენს ჯგუფში მონაწილე გუნდების ფედერაციებთან გვაქვს მჭიდრო კონტაქტი. მათ გამოგვიგზავნეს ამხანაგური მატჩების განრიგი, რასაც ვფიქრობთ ნაყოფიერად გამოვიყენებთ. გარდა ამისა სფფ-ში გვყავს ოპერატორი, რომელსაც ევალება ჩვენს მეტოქეთა ამხანაგური მატჩების ვიდეოფირების მოპოვება".

ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

## ფირმა «XXI საუკუნე»

გიწვევთ აშშ-ში მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩებზე (1/8, 1/4, 1/2, ფინალი) დასასწრებად. ტურის ხანგრძლივობაა: ა) ნიუ-იორკი 12 დღე, ბ) ლოს-ანჯელესი 8 დღე. ტურის ღირებულებაში შედის: ტრანსპორტირება, სასტუმრო, საუზმე, ფეხბურთის ბილეთები და საექსკურსიო მომსახურება.

ჩვენი მისამართი: [illegible] 16, მშენებლობის სამინისტროს შენობა, XIII სართ. [illegible] 37-9[illegible]24. ფირმა „XXI საუკუნე"

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი

# თბილისი — ვითა 78:76

პარასკევი 25 მარტი

აზოტი — შევარდენი 85:64

აზოტი: გაბისონია (6), კიკვიძე (2), ქობულაძე (13), კეჭაყმაძე (3), ბერუაშვილი (28); მიქიაშვილი (9), კოჭლამაზაშვილი (2), გონაშვილი (7), ლაფერაძე (13), მიროტაძე, მჭედლიძე (2).

შევარდენი: ფიოდოროვი (16), მაჭავარიანი (20), გაფრინდაშვილი (9), ისაკაძე, ლვინეფაძე (7); ესიტაშვილი (9), სართანია (1), თაბუაშვილი, ისაკაძე, ინაძე, მოისწრაფიშვილი (2).

„შევარდენს" სახელწოდებაში ახალშეძენილი სპონსორის სახელი „დეკა" მიემატა და აწი „დეკა — შევარდენად" იწოდება. ვინძლო ქარხნელებმა ნელ-ნელა ენთუზიასტობიდან უფრო სერიოზული მიზნების მქონე გუნდობისკენ გაიკაფონ გზა, რუსთავთან კი, როგორც მოსალოდნელი იყო, დამარცხდნენ. თუმცა ეს მატჩი წინა ორთან შედარებით გულიანად ითამაშეს.

დინამო — მერანი 99:95 (58:40)

დინამო: სამხარაძე, ი. ვაშაკიძე (24), ცხვედიანი (46), გ. ვაშაკიძე (13), კილაძე (8); დავითულიანი (4), სხიერელი, გოგუა (4).

მერანი: პეტრიაშვილი (6), ჩხეიძე (13), გიგაური (19), ანდღულაძე (29), გაბრიჩიძე (24); ბერიძე (2), გურგენიძე (2), ჩიხლაძე, ქევხიშვილი, ბარბაქაძე.

დინამოელებმა „მოახერხეს" 20-ქულიანი უპირატესობის გაფლანგვა და დამთავრებამდე 2,50 წუთით ადრე „მერანი" 91:90 დაწინაურდა. საქმეს ირაკლი ვაშაკიძემ და ცხვედიანმა უშველეს, რომლებმაც სამქულიანები ჩააგდეს.

კაქტუსი — თორსი 81:68

კაქტუსი: ა. ულენტი (6), აბრამიძე (12), ჩხეიძე (10), ნაცვლიშვილი (24), ბერძენიშვილი (20); ხოშტარია (2), ოთიურიძე (4), აბულაძე, ქართველიშვილი, ს. ულენტი (3).

თორსი: დ. თორთლაძე (20), ი. თორთლაძე (4), ტალაბაძე (17), ხარაძე, ფერიაშვილი (23); ლუდუშაური (2), ცაგარეიშვილი (2).

„კაქტუსი" დაცვაში სერიოზულად მუშაობს, ამიტომ მის კალათაში ბურთი რომ ჩააგდო, კარგი კალათბურთელი უნდა იყო. თორსელთაგან შეხვედრის პირველ ათ წუთში ასეთები მხოლოდ დავით თორთლაძე და ფერიაშვილი აღმოჩნდნენ, მაგრამ მობილური მეტოქის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყეს. იგრძნეს რა უპირატესობა, „კაქტუსის" მწვრთნელებმა ტაიმის ბოლო ექვს წუთში ბერძენიშვილის გარდა, ყველა ძირითადი მოთამაშე დაასვენეს, თუმცა არც მეორე შემადგენლობამ მიიკარა სტუდენტები ხუთ ქულაზე ახლოს. მეორე ტაიმმა ერთ ტონში ჩაიარა, ნაცვლიშვილი, ჩხეიძე და ძმანი მათნი სულ ათი ქულის ფარგლებში იყვნენ წინ...

შაბათი. 26 მარტი

დინამო — ჯიქი 106:89

დინამო: სამხარაძე (10), დავითულიანი (11), ცხვედიანი (16), გ. ვაშაკიძე (28), კილაძე (15); გოგუა (14), ი. ვაშაკიძე (12), გძელიძე.

ჯიქი: რატიანი, ლომთაძე (8), წივწივაძე (18), მშველიძე, ლოლიშვილი (8); მერკვილაძე (29), გოგალაძე (20), ორჯონიკიძე (2), შერმადინი (4).

სირბილზე ლაპარაკი ზედმეტია, მოთამაშეებს სიარულიც ეზარებოდათ.

თბილისი — ვითა 78:76 (45:38)

თბილისი: ცაგარეიშვილი (18), გურასპაული (11), სანაძე (20), კოკოლიშვილი (9), დერიუგინი (18); ახვლედიანი, ქარაბაკი (2), ხელაშვილი, ქორქია.

ვითა: ჩერქეზიშვილი (23), ტურაშვილი (5), კობეშავიძე (22), ორმოცაძე (9), შენგელია (12); უძილაური, ჩუბინიძე (3), ბერუაშვილი (2).

ტერის მთავარ მატჩზე დარბაზი ისე გაიჭედა, რომ მაყურებელი კიბეებზეც კი მოკალათდა. ამ დღეს ვერის ბაღში პირველად გამოჩნდნენ ფორმიანი პოლიციელები, ვინც წინასწარ იჭერდნენ წესრიგის თადარიგს. კალათბურთის მამები სტუმრად მობრძანებული პატივცემული გვამების მიღება-დაბინავებით იყვნენ დაკავებულნი, როცა უკეთესი იყო დროზე მიეხედათ კალათზე დამაგრებული ბადეებისთვის: პირველი ტაიმის მსვლელობისას მსაჯებმა ორჯერ შეაჩერეს თამაში და ეშხი ის-ის იყო შესულ მოთამაშეებს ბადეები მაკრატლით „შეარემონტებინეს".

ორივე გუნდმა დაცვის პერსონალური სისტემა ირჩია. მიუხედავად ამისა, ბურთი ფარქვეშ თითქმის არ შედიოდა და შეტევათა უმრავლესობა საშუალო ან შორი მანძილიდან სროლით მთავრდებოდა. ამის გამო ცენტრებმა, დერიუგინმა და შენგელიამ, უქმად რომ არ ყოფილიყვნენ, გარეთ გამოსვლა დაიწყეს, საიდანაც თბილისელი უფრო შედეგიანად თამაშობდა. თუმცალა შენგელია ცოტა დაბნეული იყო, რაც დადასტურდა მაშინ, როცა სანაძემ დაჭერილი ბურთი ხელიდან გამოგლიჯა და დერიუგინს ჩაატენინა. მეხუთე წუთზე „ვითას" უკვე 7 გუნდური ჯარიმა ჰქონდა და „თბილისი" ნელ-ნელა წინ მიიწევდა.

მეათე წუთზე შენგელია გამოცვალეს, ოთხი წუთის შემდეგ იგი დაბრუნდა და ფარქვეშიდან სცადა თამაში. დერიუგინმა კარგად დაკეტა იგა, ტაიმში 2 ქულა ჩააგდებინა, თუმცა ვითელიც მეტად სწორხაზოვნად უტევდა. ამასობაში ჩერქეზიშვილმა მიზანი გაასწორა და ზედიზედ სამი სამქულიანი ჩააგდო. „თბილისი" პასუხს არ აგვიანებდა სანაძისა და ცაგარეიშვილის (ტაიმში 16 ქულა) სროლებით. ტაიმის დამთავრებამდე 4,03 წუთით ადრე „თბილისი" 40:29 იგებდა, მაგრამ გაუმართლებელმა შეცვლებმა და მიხეილ კობეშავიძემ ანგარიში ერთხანს 6 ქულამდე ჩამოიყვანა.

კობეშავიძე ნუგზარ კოკოლიშვილს მეურვეობდა და პირიქით. თბილისელი ულაპარაკოდ ბატონობდა ფარზე, სამაგიეროდ კობეშავიძის შეჩერება მას 25-ე წუთზე მეოთხე პერსონალურად დაუფასეს. „ვითამ" 5 ქულამდე შეამცირა სხვაობა. ამ მომენტში „თბილისმა" ტაქტიკურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო: უკანა ხაზმა (ცაგარეიშვილი, გურასპაული) დერიუგინის პასებით მომარაგება დაიწყო და ამან ორწუთიან მონაკვეთში, რომელიც მისმა გუნდმა 9:4 მოიგო, 6 ქულა გააკეთა. თბილისელები 11 ქულით დაწინაურდნენ, მაგრამ კვლავ უშედეგო შეცვლები, პანიკა და დამთავრებამდე 7,12 წუთით ადრე კობეშავიძე 1 ქულამდე ამცირებს ანგარიშს. სანაძემ ზედიზედ ორი ბურთი ჩააგდო და გაანელა „ვითას" შემართება. რაც შემდეგ მოხდა, უმჯობესია ამგვარად განვიხილოთ:

დარჩენილია 4,00 წუთი: კობეშავიძე ათანაბრებს ანგარიშს — 72:72; 2,57: გურასპაული საშუალო მანძილიდან — 74:72; 2,32: ტურაშვილი საჯარიმოებით — 74:74; 1,54: ცაგარეიშვილი კონტრშეტევით სარგებლობს — 76:74; 1,28: კობეშავიძე მეხუთე პერსონალურს ალებინებს კოკოლიშვილს და ანგარიში კვლავ თანაბარია 76:76; 39 წამი: დერიუგინი ფარქვეშიდან აგდებს ბურთს — 78:76, მასთან თამაშისას ტურაშვილი მეხუთე პერსონალურს იღებს. თბილისელთა ცენტრი აცილებს საჯარიმოს. ბურთს ხსნის სანაძე. ქარაბაკი უტევს და ორმოცაძე მეხუთე ჯარიმით სტოვებს მოედანს. ქარაბაკი ვერ აგდებს საჯარიმოს და „ვითა" ბოლო შეტევას იწყებს; 5 წამი: ცაგარეიშვილი ფარქვეშ უხეშად ეთამაშება ბერუაშვილს. ამან საჯარიმოს სროლის უფლება მიიღო. პირველივე სროლა ააცილა და „თბილისმა" არსებობის მანძილზე მერვე მატჩში მეორედ დაამარცხა „ვითა".

დამთავრებისთანავე ერთი მაყურებელი მიეჭრა მსაჯს გიორგი ავალიშვილს, მაგრამ ამან იქით შეუტია მიმხდურს და აქცია, მოედანი დაეტოვებინა. მატჩის მსვლელობისას ორივე გუნდის გულშემატკივრები დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ არბიტრების, განსაკუთრებით მურმან ქურიძის გადაწყვეტილებების გამო.

კვირა 27 მარტი

თბილისი — ჯიქი 107:63 (46:27)

თბილისი: ცაგარეიშვილი (17), ახვლედიანი (25), სანაძე (16), შავლოხაშვილი, ხელაშვილი (14); აბულაშვილი (19), ქორფაშვილი (12), კოკოლიშვილი (4).

ჯიქი: ლომთაძე (6), რატიანი, ლოლიშვილი (11), წივწივაძე (11), მშველიძე (10); მერკვილაძე (25), ორჯონიკიძე, ჩოგოვაძე.

თორსი — მერანი 102:83

თორსი: დ. თორთლაძე (35), ი. თორთლაძე (21), ლუდუშაური (8), ხარაძე (3), ფერიაშვილი (35); ცაგარეიშვილი

მერანი: პეტრიაშვილი (8), ბერიძე, ანდღულაძე (26), გურგენიძე (15), გაბრიჩიძე (18); გიგაური (13), ჩიხლაძე (3)

კაქტუსი — აზოტი 86:73 (40:34)

კაქტუსი: ა. ულენტი (18), აბრამიძე (17), ჩხეიძე (16), ნაცვლიშვილი (17), ოთიურიძე (6); ხოშტარია, ბერძენიშვილი (4), აბულაძე (2), ს. ულენტი (6)

აზოტი: გაბისონია (12), კიკვიძე (6), ქობულაძე (7), მიქიაშვილი (9), ბერუაშვილი (31); კეჭაყმაძე (6), კოჭლამაზაშვილი (2)

ორშაბათი, 28 მარტი

თბილისი — შევარდენი 101:71 (56:44)

თბილისი: ცაგარეიშვილი (24), ახვლედიანი (32), ქორფაშვილი (12), კოკოლიშვილი (22), აბულაშვილი (11); ქორქია

შევარდენი: ფიოდოროვი (12), ინაძე (6), ესიტაშვილი (27), ისაკაძე (18), ლვინეფაძე (8); თაბუაშვილი, მოისწრაფიშვილი

ვითა — დინამო 93:77 (37:32)

ვითა: ჩერქეზიშვილი (21), ტურაშვილი (3), ჩუბინიძე (10), ბეჟანიშვილი, შენგელია (34); უძილაური (3), ორმოცაძე (2), კობეშავიძე (18), მაჭარაძე (2)

დინამო: სამხარაძე (14), ი. ვაშაკიძე (20), ცხვედიანი (18), კილაძე (10), სხიერელი (3); დავითულიანი (4), გოგუა (8)

I ეტაპის შემდეგ

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვითა | 17 | 1 | 1635-1160 | 35 |
| თბილისი | 16 | 2 | 1747-1297 | 34 |
| კაქტუსი | 15 | 3 | 1508-1240 | 33 |
| თორსი | 11 | 7 | 1630-1532 | 29 |
| დინამო | 10 | 8 | 1572-1430 | 27 |
| აზოტი | 8 | 10 | 1426-1492 | 26 |
| მერანი | 6 | 12 | 1335-1515 | 24 |
| ჯიხვი | 4 | 14 | 1254-1575 | 22 |
| შევარდენი | 2 | 16 | 1189-1689 | 20 |
| ჯიქი | 1 | 17 | 1288-1687 | 19 |

დინამოს დაკლებული აქვს ერთი ქულა.

აქვე გაცნობებთ ადრე გამართული ორი მატჩის შედეგს: ჯიხვი — მერანი 56:86, ჯიხვი — ჯიქი 108:91

ახლა ექვსეული ორწრიან ტურნირში „პლეი-ოფის" ოთხ მონაწილეს გაარკვევს. პირველი წრე 4-9 მაისს გაიმართება. დანარჩენი 4 გუნდი 11-17 აპრილს VII-X ადგილებს გაინაწილებს. მეორე ეტაპზე გუნდებს ყველა ქულა ეთვლებათ

# ნუ იქნება ოლონდ ჩხუბი...

ქართული კალათბურთის თვითმყოფადობა დღეს ალბათ მისი სრული მოუწესრიგებლობით და უნიათობით შეიძლება გამოიხატოს. უდავოა, რომ მისი დამახასიათებელი ნიშნები ვერ გასცდება უარყოფით ცნებებს. ორიოდე კვალიფიციური მსაჯი, ხუთიოდე ისეთი კალათბურთელი, რომელსაც მოედანზე შეეხედება (ისიც ჩვენთან, შვედეთში ან საბერძნეთის ფარმკლუბებში), არეული კალენდარი, თამაშის დაბალი კლასი, ღარიბი სამწვრთნელო პოტენციალი და რაც მთავარია, მუშტიკრივის დიდი სიყვარული და ამ მოვლენისადმი დანაშაულებრივი გულგრილობა — აი, ჩვენი კალათბურთის ავლა-დიდება.

მიუხედავად ამისა, მაყურებელი მაინც ესწრება ჩემპიონატის მატჩებს. უფრო იმიტომ, რომ იგი ლამის ერთადერთი ცოცხალი სპორტული სანახაობაა მთელს ქალაქში. ასე განსაჯეთ, ლიდერთა შეხვედრებზე ვერის პარკის დარბაზი გადაჭედილიც კია ხოლმე. ხალხს უყვარს კალათბურთი, მაგრამ როგორც ჩანს, ჩვენ კალათბურთს ნაკლებად უყვარს გულშემატკივრები. ალბათ, თვალში საცემია, რომ ჩემპიონატი ორგანიზებულია უბნის პირველობის დონეზე და აქ თანხები და სპონსორები არაფერ შუაშია. არავინ ითხოვს მაყურებლისთვის განსაკუთრებული პირობების შექმნას და რაღაც ამგვარ ფუფუნებას. საუბარია ელემენტარული საკალათბურთო წესების, თუნდაც სპორტული ეთიკის დაცვაზე, ე.ი. იმაზე, რასაც სპორტული დისციპლინა და წესების სიწმინდე ჰქვია. წარმოიდგინეთ, რას იფიქრებს FIBA-ს რომელიმე ინსპექტორი, შემთხვევით რომ თბილისში შემოუხვიოს და ერთ-ერთ კალენდარულ მატჩს დაესწროს. პირველ რიგში, ის იკითხავს, რას აკეთებს მოედანზე ორი სასტვენიანი კაცი. თუ ვინმე ღვთისნიერი შეხვდა, აუხსნის, რომ ხსენებულ ძიაკაცებს მსაჯები ჰქვიათ და მათ ძველი პატივისთვის უფრო ინახავენ, ვიდრე სხვა ღირსებისთვის. დიახ, ქართულ კალათბურთში მსაჯი თანდათან იქცევა ფორმალურ ფიგურად, რადგან იგი ჩვეულებრივ არაფერს წყვეტს. იშვიათი გამონაკლისის გარდა (ამ გამონაკლისს თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ გიორგი ავალიშვილი), მსაჯი ბევრს ვერაფერს გაბედავს. ვერ გაბედავს მოთამაშის მოედნიდან გაძევებას, თუნდაც მან მადლიანად შეაპურჭყოს ვინმეს, ან წიხლი მოიქნიოს, ან სულაც თავად მოქალაქე მსაჯს შეაგინოს. აი, ახლახან განუმეორებელი სანახაობა მოეწყო: „თბილისის" და „დინამოს" შეხვედრისას გაიმართა კარგა გვარიანი მუშტი-კრივი, მოედანზე გადმოცვივდნენ მაყურებლები და ა.შ. და ა.შ. შედეგი ამ ქალაქური დრონსტარებისა ის იყო, რომ მატჩი ჩვეულებრივად გაგრძელდა. მსაჯებმა არა თუ შეწყვიტეს შეხვედრა, არამედ, ერთი-ორი მოთამაშეც კი არ გაუძევებიათ, მაყურებელთა თვალის გასაძღომად მაინც. ვითომც არაფერი მომხდარაო — აი, ასე. სავსებით სწორი იყო „თბილისის" ერთ-ერთი მოთამაშის მღელვარე მიმართვა მსაჯებისადმი: „აქ რაც ხდება, თქვენი ბრალიაო". მართლაც, ჩვენი მსაჯები, არცთუ სასურველ კვალიფიკაციასთან ერთად უპრინციპობასაც მშვენივრად ფლობენ. ცნობილია, რომ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე ადამიანები (მსაჯები, მწვრთნელები, მოთამაშეები და სხვ.) ხუთი თითივით იცნობენ ერთმანეთს. მსაჯებმა მოთამაშეთა ხასიათიც კი იციან და ამის მიხედვით მოქმედებენ. არიან კალათბურთელები, რომლებსაც ისინი უფრთხიან. ვთქვათ, იმას რასაც მსაჯი ერთს გაუბედავს, მეორეს — ნურას უკაცრავად. უბრალოდ, არ უნდა მაყურებლების თვალწინ აგინონ და რაიმე ბლაგვი საგანიც გაუქანონ. ამიტომ, ვინც სპორტულად იქცევა და თან დამყოლი ხასიათი აქვს, ჯარიმასაც, ძირითადად ის იღებს.

თუმცა, რაც მოედანზე ხდება, მხოლოდ მსაჯების ბრალი არ შეიძლება იყოს. პასუხისმგებელი მოთამაშეებიც არიან. მოსაწონია, რომ საქართველოს მოწინავე გუნდების კალათბურთელები დიდ მონდომებას აქსოვენ თამაშში. მაგრამ მათ უმრავლესობას, ჩვეულებრივ (ეს უკვე მიღებული და ჩამოყალიბებული ნორმაა), ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს სპორტზე, სპორტულ პრინციპებსა და სპორტულ სულზე. მათგან თვალში საცემად გამოირჩევიან ძველი თაობის კალათბურთელები, ვთქვათ, იგივე დერიუგინი. საქართველოს ჩემპიონატში არის მოთამაშეთა კარგა მოზრდილი კასტა, რომელსაც ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად. ისინი ოფიციალურ შეხვედრას ცალ ფარში გამართული „მაზიანის" დონემდე ატარებენ და გაუთავებელი გინებით და მანჭვა-გრეხით, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ნორჩი მაყურებლის გემოვნებას და მისწრაფებებს აქვეითებენ.

ვილაცამ შეიძლება თქვას, NBA-შიც ჩხუბობენ, თანაც ისე, ჩვენი ჩხუბი ხუმრობად მოგეჩვენებაო. ჯერ ერთი, ასი ასზე მუშტი-კრივი და წიხლაობა, იქ ბოლოს როდის გაიმართა, ღმერთმა იცის; მეორე, ჩვენები ისე მაინც რომ თამაშობდნენ, როგორც ბარკლი მეხუთე კლასში, იჩხუბონ რამდენიც უნდათ, ვინაა ხმის ამომღები.

ყოველივე ეს უკვე მეორე წელია მიმდინარეობს, ფედერაცია თვლემს, ჩემპიონატი მიდის, ჟურნალისტები კი... თუმცა საქმე მაინც სულ უკან-უკან მიდის.

• ვასო ჯაშიაშვილი

## „სარბიელის" ხუთეული მეორე წრის მიხედვით



გამთამაშებელი
ნიკო ჩერქეზიშვილი
„ვითა"



ფრთა
რევაზ ჩხეიძე
„კაქტუსი"



თავდამსხმელი
ვახტანგ ნაცვლიშვილი
„კაქტუსი"



მსროლელი
რამაზ გოგოზერიშვილი
„აზოტი"



ცენტრი
ნიკოლოზ დერიუგინი
„თბილისი"

## ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| დავით თორთლაძე, თორსი | | |
| 542 | 18 | 30,1 |
| შალვა ცხვედიანი, დინამო | | |
| 499 | 17 | 29,3 |
| ალექსანდრე ფერიაშვილი, თორსი | | |
| 410 | 17 | 24,1 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი, კაქტუსი | | |
| 382 | 17 | 22,4 |
| მიხეილ ბერუაშვილი, აზოტი | | |
| 381 | 18 | 21,2 |
| მალხაზ ანდღულაძე, მერანი | | |
| 362 | 18 | 20,1 |
| ნიკოლოზ დერიუგინი, თბილისი | | |
| 259 | 14 | 18,5 |
| გურამ ვაშაკიძე, დინამო | | |
| 271 | 15 | 18,0 |
| კახა შენგელია, ვითა | | |
| 286 | 16 | 17,8 |
| კახა მაჭავარიანი, შევარდენი | | |
| 266 | 17 | 15,6 |
| დავით ბერძენიშვილი, კაქტუსი | | |
| 258 | 18 | 14,3 |

პირველ სვეტში — პირველ ეტაპზე მოპოვებული ქულები, მეორეში — თამაშთა რაოდენობა, მესამეში — საშუალო შედეგიანობა. ცხრილში ისინი შევიყვანეთ, ვინც 250 ქულაზე მეტი მოიპოვა

# იუბილარი



ჩვენს კოლეგას ჯამლეტ ხუხაშვილს დაბადების 50 და ტელევიზიაში მოღვაწეობის 30 წელი შეუსრულდა. ბატონი ჯამლეტი ამასწინათ საქართველოს საკალათბურთო ნაკრების უფროსადაც დანიშნეს. ჩვენ ვისარგებლეთ შემთხვევით და ქართველ და ებრაელ ხალხთა შორის ამ ხიდად გადებულ კაცს გავესაუბრეთ.

— ბატონო ჯამლეტ, როგორ გახდით სპორტული კომენტატორი?

— საქართველოს სტუდენტ ხელბურთელთა ნაკრების წევრი და თბილისის „ბურევესტნიკის" წევრობის კანდიდატი ვიყავი, იმავდროულად ფეხბურთი ჩემი საგანგებო გატაცება გახლდათ. ერთ რეპორტაჟსაც არ ვტოვებდი და ბოლოს დავასკვენი, რომ თავადაც შევძლებდი კომენტატორობას. მაგნიტოფონზე ვიწერდი საკუთარ რეპორტაჟებს, ერთი მათგანი კი რადიოს უკანასკნელი ცნობების მთავარ რედაქტორს ნიკოლოზ აბზიანიძეს მივუტანე. ორი წლის განმავლობაში საცდელი გადაცემები მიმყავდა, მხოლოდ ამის შემდეგ მიმიშვეს მიკროფონთან. ჩემი პირველი რეპორტაჟი 1965 წელს ქუთაისის „ტორპედოსა" და მოსკოვის „სპარტაკის" მატჩის დროს შედგა.

— თუ გქონიათ შემთხვევა, როცა მსმენელისთვის ვერ გითქვამთ ის, რისი თქმაც გსურდათ?

— სპორტულ კომენტატორს ზომიერების გრძნობა სჭირდება, რაც ერთობ ძნელი მისაღწევია. მას მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ გადაცემა მსმენელისთვის მიჰყავს და არა ემოციების გამოსახატავად.

— ცხადია საუკეთესო რეპორტაჟებიც გქონიათ.

— 1970 წელს თვითმფრინავი, რომლითაც ზაპოროჟიეში მივფრინავდი კატასტროფაში მოყვა, 53 მგზავრიდან 10 გადავრჩით, ახლობლებს დაღუპული ვეგონე და მეც მათ დასამშვიდებლად რეპორტაჟი საავადმყოფოდან ტელეფონით გადმოვეცი. 1979 წელს „დინამო" — „ლივერპულის" მატჩმა ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო რეპორტაჟის ჩატარების საშუალება მომცა. 1989 წელს კი ისრაელის ქალაქ ხაიფაში „მაკაბი" — „დინამოს" ამხანაგური შეხვედრა ადგილობრივი რადიოთი ქართულად ჩავატარე. მაშინ 40 ათასი ქართველ[ი] ებრაელი მისმენდა და 50 მილიონი არ[აბ]ი[ც] [illegible] ად ყურს უ[გ]დებდა ამ შეხვე[დ]რის [illegible].

— [illegible] საქართველოს ეროვნული ნა[კრ]ებ[ი]ს [illegible] უფროსიც ბრძანდებით.

— ეს დიდი ნდობაა. 1979 წელს, როდესაც ჩემი ვაჟი მიხეილი და ძმისშვილი გიორგი კალათბურთზე მივიყვანე, მეც დავამთავრე მწვრთნელთა სკოლა კიევში. 1980 წლიდან მწვრთნელი ვარ. იმ ხნიდან მოყოლებული ჩემმა აღსაზრდელებმა მრავალ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს. შარშან ევროპის ჩემპიონატზე ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრების უფროსი ვიყავი, ვარ პროფესიული კლუბის „კაქტუსის" გუნდის უფროსი. ახლა კი უდიდესი პასუხისმგებლობა დამეკისრა.

— ყველა ასპარეზზე წარმატებას გისურვებთ.

— გმადლობთ.

ილია ბაბუნაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დან მარლი: სამქულიანების რეკორდი

24-26 მარტი

მინესოტა — ნიუ-იორკი 106:123, ჰიუსტონი — ლეიკერზი 113:107, დენვერი — მაიამი 113:101, ვაშინგტონი — ბოსტონი 117:123, სიეტლი — ფინიქსი 116:106, საკრამენტო — სან-ანტონიო 91:107, გოლდენ სტეიტი — მილუოკი 114:112, ატლანტა — კლიპერზი 94:97, ნიუ-ჯერსი — ჩიკაგო 110:87, ფილადელფია — კლივლენდი 88:105, ინდიანა — ნიუ-იორკი 82:85, დეტროიტი — შარლოტი 92:106, იუტა — მილუოკი 103:96, ფინიქსი — დალასი 99:94, პორტლენდი — საკრამენტო 100:91, შარლოტი — კლიპერზი 121:109, ვაშინგტონი — ნიუ-ჯერსი 100:103, ჰიუსტონი — იუტა 98:93, ჩიკაგო — ინდიანა 90:88, დენვერი — დალასი 112:101, ორლანდო — ნიუ-იორკი 90:111, ბოსტონი — ფილადელფია 124:122, კლივლენდი — დეტროიტი 111:99, ფინიქსი — ჰიუსტონი 113:98, პორტლენდი — სან-ანტონიო 95:107.

ატლანტა ჰოქსი — მაიამი ჰითი 100:90. ატლანტელმა მუკი ბლეილოკმა სამმაგი დუბლი შეასრულა: 17 ქულა, 14 პასი, 11 მოხსნა.

ლოს-ანჯელეს ლეიკერზი — მილუოკი ბაქსი 110:101. „ლეიკერზის" 17505 გულშემატკივარმა, რომლებმაც წლეულს მესამედ გაავსეს დარბაზი, ხუთწუთიანი ოვაცია გაუმართა ახალ მწვრთნელს — მეჯიქ სმოკინგსა და ჭრელ პალსტუხში გამოწყობილ ირვინ „მეჯიქ" ჯონსონს. დებიუტი წარმატებული გამოდგა: ჯორჯ ლინჩმა 30 ქულა ჩააგდო და შეიქნა „ლეიკერზის" პირველი ახალბედა 'მეჯიქ ჯონსონის შემდეგ, ვინც ერთ შეხვედრაში ამდენი ქულა მოაგროვა. დუგ კრისტიმ ამას 20 ქულა დაამატა, ვლადე დივაცმა — 18 ქულა და 19 მოხსნა, ელდენ კემპბელმა — 17 ქულა.

28-31 მარტი

ინდიანა — კლიპერზი 126:93, სიეტლი — დენვერი 111:97, ნიუ-იორკი — შარლოტი 106:95, პორტლენდი — სიეტლი 100:114, საკრამენტო — ჰიუსტონი 101:122. დეტროიტი — მაიამი 123:115, ატლანტა — ნიუ-ჯერსი 101:98, დალასი — სან-ანტონიო 92:117, ჩიკაგო — ფილადელფია 106:103, მილუოკი — ბოსტონი 107:119, ორლანდო — ვაშინგტონი 120:101, იუტა — გოლდენ სტეიტი 113:116, ნიუ-ჯერსი — მაიამი 111:101, ბოსტონი — ინდიანა 99:103, გოლდენ სტეიტი — ჰიუსტონი 104:114, სიეტლი — ლეიკერზი 95:92, სან-ანტონიო — კლივლენდი 101:85, მილუოკი— პორტლენდი 111:109, კლიპერზი — ფინიქსი 102:117, საკრამენტო — ატლანტა 102:106.

ლოს-ანჯელეს ლეიკერზი — მინესოტა ტიმბერვულვზი 91:89. მეჯიქ ჯონსონმა ზედიზედ მეორე თამაში მოიგო, მაგრამ არცთუ შთამბეჭდავად. ბოლო წამებზე ნიკ ვან ექსელმა პირითი ხაზის გასწვრივ ირბინა და მინესოტელ ცენტრს კრისტიან ლეიტნერს ხელებს ზემოდან ჩაუგდო გადამწყვეტი ბურთი.

კლივლენდ კავალიერზი — ლოს-ანჯელეს კლიპერზი 106:96. კლივლენდელმა ჯერალდ ვილკინსმა (28 ქულა) აჯობა ლოს-ანჯელესელ ძმას, დომინიკს. მესამე მეოთხედში მან ორი სამქულიანი და 12 ქულა ჩააგდო და ოთხქულიანი ჩამორჩენა ათქულიან უპირატესობაში გადაიყვანა.

შაბათი, 2 აპრილი

ნიუ-იორკ ნიქსი — მაიამი ჰითი 110:87. „ნიქსმა" ზედიზედ მე-15 მოგებით გაიმეორა სეზონის რეკორდი, რომელიც „ჰიუსტონმა" დაამყარა საწყისი 15 მატჩის შემდეგ. ჰუბერტ დევისმა 21 ქულა გააკეთა, ჩარლზ ოკლიმ — 17 ქულა და 12 მოხსნა, პატრიკ იუინგმა — 15 ქულა, 11 მოხსნა და 6 დაფარება.

ინდიანა პეისერზი — ორლანდო მეჯიკი 128:113. „ინდიანამ" სეზონში ყველაზე მეტი ქულა მოაგროვა. წლეულს საუკეთესო შედეგები უჩვენეს მისმა მოთამაშეებმაც. რეჯი მილერმა — 38 ქულა, 15 საჯარიმოდან ყველა ჩააგდო და ახალბედა გამთამაშებელმა ჰეივუდ ვორქმენმა — 15 პასი.

ვაშინგტონ ბულიტსი — მილუოკი ბაქსი 104:96. „ვაშინგტონი" მხოლოდ საწყის ორ წუთში აგებდა. დონ მაკლინმა 29 ქულა და 10 მოხსნა მიუთვალა მას, ხოლო განთქმული კლივლენდელის — მარკ პრაისის ძმამ, ბრენტმა — 19 ქულა და 8 პასი.

დალას მავერიქსი — კლივლენდ კავალიერზი 88:95. თავი არც მარკ პრაისმა შეირცხვინა — 24ქულა. მისმა გუნდელმა ჯონ „ჰოთ როდ" ვილიამსმა (23 ქულა, 18 მოხსნა) ბოლო მეოთხედში ზედიზედ 6 ქულა ჩააგდო. „დალასში", რომელმაც ზედიზედ მე-17-ედ წააგო, საუკეთესონი იყვნენ ლუგ სმიტი (23 ქულა) და ჯიმ ჯექსონი (22ქულა).

სან-ანტონიო სფურზი — შარლოტ ჰორნეთსი 117:111. „სფურზმა" ზედიზედ მეექვსედ მოიგო. მის რიგებში ქულები ასე განაწილდა: დევიდ რობინსონი (24 ქულა), დეილ ელისი (17 ქულა), ვილი ანდერსონი (15 ქულა), ნეჯელ ნაითი (15 ქულა), ტერი კამინგსი (13 ქულა), ვინი დელ ნეგრო (10 ქულა). დენის როდმანმა 20 ბურთი მოხსნა და კარიერაში ყველაზე მეტი, 8 პასი გააკეთა.

იუტა ჯაზი — დენვერ ნაგითსი 101:91. იუტელთაგან ყველაზე შედეგიანები იყვნენ კარლ მელოუნი (31 ქულა, 12 მოხსნა) და ჯეფ ჰორნაჩეკი (17 ქულა), დენვერელთაგან — მაჰმუდ აბდულ-რაუფი (19 ქულა) და დიკემბე მუტომბო (14 ქულა, 16 მოხსნა).

სიეტლ სუპერსონიქსი — გოლდენ სტეიტ ვორიორზი 119:109. დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე „სიეტლი" 13:2 გაიჭრა წინ და 111:91 დაწინაურდა. ამ ხანში სემ პერკინსმა ორი ბურთი ფარიდან ჩააგდო, ერთხელ კი ჩატენა. გამარჯვებულთაგან, რომლებმაც ზედიზედ მერვედ მოიგეს, ყველაზე მეტი ქულა შონ კემპმა გააკეთა — 32.

საკრამენტო კინგზი — მინესოტა ტიმბერვულვზი 102:87. „კინგზმა" შეწყვიტა ექვსმატჩიანი მოუგებელი სერია. ვეიმენ ტისდეილმა 24 ქულა გააკეთა, მიჩ რიჩმონდმა — 17. „მინესოტაში", ვინც ზედიზედ მეხუთედ დამარცხდა, საუკეთესო იყო კრისტიან ლეიტნერი — 19 ქულა.

კვირა, 3 აპრილი

დეტროიტ პისტონზი — ჩიკაგო ბულზი 93:96. სკოტი პიპენს (26 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი) თითო მოხსნა-პასი დააკლდა სეზონში მეოთხე სამმაგი დუბლისთვის. ბი. ჯეი. არმსტრონგმა ბოლო 8 წამში 4 საჯარიმო ჩააგდო. დეტროიტელთაგან ყველაზე შედეგიანი იყო აიზია თომასი — 17 ქულა. ჯო დუმარსმა 15 ქულა გააკეთა, ხოლო კადილაკ ანდერსონმა — 12 ქულა და 15 მოხსნა.

ფილადელფია-76 — ბოსტონ სელტიქსი 112:135. შერმან დუგლასმა სეზონის რეკორდს (27 ქულა) კარიერის რეკორდი (22 პასი) დაუმატა. ამას დინო რაჯას 25 ქულაც დაერთო და „ბოსტონმა" სეზონში ყველაზე მეტი ქულა დააგროვა. „76"-მა ზედიზედ მეთერთმეტედ წააგო შინ და 1971-72 წლების უსიამო რეკორდი (10 წაგება) გააუმჯობესა.

ნიუ-ჯერსი ნეთსი — პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი 105:109. „პორტლენდს" მოაგებინა კლაიდ დრექსლერმა (34 ქულა, 25 — მეორე ტაიმში), რომელმაც ბოლო 26,9 წამში 5 საჯარიმო ჩააგდო. შესვენებამდე „ნეთსი" 10 ქულას იგებდა. ამ გამარჯვებით „ბლეიზერსი" ზედიზედ მეთორმეტედ გავიდა ფლეი-ოფში.

ლოს-ანჯელეს კლიპერზი — ჰიუსტონ როკიტსი 98:106. აკიმ ოლაჯუონმა (30 ქულა, 11 მოხსნა) ზედიზედ მეხუთედ წააგებინა „კლიპერზს".

ლოს-ანჯელეს ლეიკერზი — ატლანტა ჰოქსი 102:89. დამთავრებამდე 5,46 წუთით ადრე „ლეიკერზში" საუკეთესოს ელდენ კემპბელს (17 ქულა) მარცხენა თვალში ჩაარტყეს. კემპბელს ამ თვალში მხედველობა გაუორმაგდა და სასწრაფოდ ჰოსპიტალში წაიყვანეს. ნიკ ვან ექსელმა (16 ქულა), ტონი სმიტმა (14 ქულა), ვლადე დივაცმა (13 ქულა) და ჯეიმს ვორსიმ (13 ქულა) მშვიდად მიიყვანეს მატჩი ბოლომდე.

ფინიქს სანზი — დენვერ ნაგითსი 108:98. ფინიქსელმა კევინ ჯონსონმა ერთი კარიერის უმაღლესი შედეგი გააუმჯობესა (42 ქულა) და ერთიც სეზონისა (17 პასი). მისმა გუნდმა შინ ზედიზედ მეთერთმეტედ დაამარცხა „დენვერი" და ხუთ მატჩამდე გაზარდა წაუგებელი სერია.

სამშაბათი, 5 აპრილი

მაიამი ჰითი — ნიუ-იორკ ნიქსი 100:86. „მაიამიმ" შეაწყვეტინა „ნიქსს" 15-მატჩიანი წაუგებელი სერია და ამ შეხვედრაში სროლათა 36 პროცენტი ჩააგდებინა. ჰითელმა გრატ ლონგმა 17 ბურთი მოხსნა, მისმა გუნდმა კი ამ მაჩვენებლით 52:43 მოიგო.

ნიუ-ჯერსი ნეთსი — ბოსტონ სელტიქსი 120:101. „ნეთსმა" პირველი მეოთხედი 32:24 მოიგო, მიუხედავად იმისა, რომ საწყის ოთხ წუთში ბურთი ვერ ჩააგდო.

კლივლენდ კავალიერზი — შარლოტ ჰორნეთსი 105:99. დამთავრებამდე 4,51 წუთით ადრე კლივლენდელმა ჯერალდ ვილკინსმა სამქულიანი ჩააგდო და დარჩენილი მონაკვეთი მისმა გუნდმა 18:9 მოიგო.

ორლანდო მეჯიკი — მილუოკი ბაქსი 104:97. „ორლანდოს" ცენტრმა შაკილ ო ნილმა ორწლიან კარიერაში პირველად გამოტოვა მატჩი ავადმყოფობის გამო — მუცლის გვრემა აუტყდა. ლიდერობა ჯეფ ტერნერმა (22 ქულა, 10 მოხსნა) იკისრა. ანფერნი ჰარდევეიმ ამას 21 ქულა დაუმატა, ნიკ ანდერსონმა — 14.

ჩიკაგო ბულზი — ვაშინგტონ ბულიტსი 114:88. მესამე მეოთხედის დამთავრებამდე 5,31 ადრე, „ჩიკაგომ" დაასრულა მონაკვეთი 21:8 და 73:55 დაწინაურდა. სკოტი პიპენს (22 ქულა, 10 პასი) ერთი მოხსნა დააკლდა სამმაგ დუბლამდე.

სან-ანტონიო სფურზი — გოლდენ სტეიტ ვორიორზი 101:106. დამთავრებამდე 1,53 წუთით ადრე ვორიორზელმა ლატრელ სპრიუელმა (26 ქულა) ანგარიში 100:100 გახადა, შემდეგ კი ორი ქულა გაკეთა. სფურზელმა ვილი ანდერსონმა ერთი საჯარიმოთი ერთ ქულამდე შეამცირა ანგარიში. მაგრამ სპრიუელმა ორი ბურთი ჩაჭრა და ორივეჯერ აივერი ჯონსონს ჩააგდებინა. „სან-ანტონიო" პირველად დამარცხდა ზედიზედ ექვსი მოგების შემდეგ.

ინდიანა პეისერზი — დეტროიტ პისტონზი 105:89. „ინდიანას" ძირითადმა ცენტრმა რიკ სმიტსმა გრიპის გამო არ ითამაშა. სამაგიეროდ, ივარგა მისმა შემცვლელმა ანტონიო დევისმა (18 ქულა) და ამის მოგვარემ — დეილმა (19ქულა, 14 მოხსნა) „პეისერზმა" საწყისი 15 სროლიდან 11 ჩააგდო და მუდამ წინ იყო.

დენვერ ნაგითსი — ლოს-ანჯელეს კლიპერზი 91:92. „დენვერი" ერთხანს 20 ქულას იგებდა, მაგრამ დამთავრებამდე 42 წამით ადრე კლიპერზელმა ელმორ სპენსერმა სამქულიანით დააწინაურა თავისიანები. ამას რონ ჰარპერმა ორი ქულა დაუმატა. დენვერელი რეჯი ვილიამსის ორმა საჯარიმომ დამთავრებამდე 10 წამით ადრე ერთ ქულამდე შეამცირა ანგარიში. „ნაგითსმა" ზედიზედ მეოთხედ წააგო.

სიეტლ სუპერსონიქსი — იუტა ჯაზი 86:79. სიეტლელმა ვინსენტ ესკიუმ ზედიზედ შვიდი ქულა ჩააგდო და დამთავრებამდე 4,29 წუთით ადრე მისი გუნდი 77:70 დაწინაურდა. ყველაზე შედეგიანი იყო მასპინძელთა გერმანელი დეტლეფ შრემპფი — 17ქულა, შონ კემპმა და სემ პერკინსმა 15-15 გააკეთეს. „სიეტლმა" ზედიზედ მეცხრედ მოიგო.

პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი — ფინიქს სანზი 135:113. „ფინიქსმა" შეწყვიტა ხუთმატჩიანი წაუგებელი სერია. ჩარლზ ბარკლიმ 27 ქულა შესძინა მას, სედრიკ სებალოსმა — 20. პორტლენდელმა როდ სტრიკლენდმა (18 ქულა) კლუბის რეკორდი დაამყარა პასებში (20) და ერთით გააუმჯობესა ტერი პორტერის (ამ მატჩში 17 ქულა) 1988 წლის მიღწევა. ყველაზე მეტი ქულა კი „ბლეიზერსს" კლიფ რობინსონმა მოუტანა — 23.

საკრამენტო კინგზი — დალას მავერიქსი 80:88. მეოთხე მეოთხედში „დალასი" 6 ქულას აგებდა, შემდეგ ერთი მონაკვეთი 10:0 მოიგო, ბოლო 1,44 წუთში კი 10-იდან 6 საჯარიმო ჩააგდო. ამით „დალასმა" შეწყვიტა 17-მატჩიანი მოუგებელი სერია, მეცხრე გამარჯვება მოიპოვა და გაიმეორა ასოციაციის ყველაზე ცუდი გუნდის, 1972-73 წლების „ფილადელფია-76"-ის მაჩვენებელი.

ოთხშაბათი, 6 აპრილი

ატლანტა ჰოქსი — ბოსტონ სელტიქსი 111:107. მეოთხე მეოთხედის ერთი მონაკვეთი „ატლანტამ" 16:2 მოიგო. ამ ხანში დანი მანინგმა, ვინც წინა სამი მატჩი იდაყვის ტრავმით გამოტოვა, 13 ქულა ჩააგდო (სულ — 23). მის გუნდში ყველაზე შედეგიანი იყო კევინ ვილისი (25 ქულა, 18 მოხსნა), „სელტიქსში" — დი ბრაუნი (22 ქულა).

ვაშინგტონ ბულიტსი — მაიამი ჰითი 103:114. ყველაფერი მესამე მეოთხედში გადაწყდა, როცა მაიამელმა სტივ სმიტმა (26 ქულა) 10 ქულა გააკეთა და ვაშინგტონელ მიჩელ ბატლერს წყალში ჩაუყარა 26 მოგროვილი ქულა. გლენ რაისმა 21 ქულა და 10 მოხსნა დაუმატა „ჰითს". ბულიტსელებმა ტომ გულიოტამ და რექს ჩეპმენმა 19-19 ქულა ჩაგდეს.

შარლოტ ჰორნეთსი — ინდიანა პეისერზი 129:90. „შარლოტმა" 23-ედ მოიგო შინ, რითაც კლუბის რეკორდი დაამყარა. ალონზო მურნინგმა 23 ქულა და 11 მოხსნა გააკეთა, რითაც „ჰორნეთსს" შეუნარჩუნა ფლეი-ოფში მოხვედრის თეორიული შანსი. ინდიანელთაგან საუკეთესო იყო რეჯი მილერი — 17 ქულა.

მინესოტა ტიმბერვულვზი — ლოს ანჯელეს კლიპერზი 110:100. მეოთხე მეოთხედში „მინესოტამ" იძალა. ჩაკ პერსონმა (18 ქულა) ამ დროს 9 ქულა ჩააგდო. დუგ ვესტმა 27 ქულა მოაგროვა და „ტიმბერვულვზმა" მეოცე თამაში მოიგო, რითაც ერთით გააუმჯობესა შარშანდელი მაჩვენებელი. კლიპერზელი დომინიკ ვილკინსი (34 ქულა) მატჩში ყველაზე შედეგიანი იყო, თუმცა 28 სროლიდან მხოლოდ 11 ჩააგდო.

ფინიქს სანზი — სან ანტონიო სფურზი 107:95. ფინიქსელმა დან მარლიმ მესამე მეოთხედში 67 წამში 3 სამქულიანი ჩააგდო. მესამე სროლა სეზონში 173-ე გამოდგა, რითაც მარლი გახდა ასოციაციის რეკორდსმენი ერთ სეზონში ჩაგდებული სამქულიანებით. წინა რეკორდი (172) ჰიუსტონელ ვერნონ მაქსველს ეკუთვნოდა, რომელიც 1990-91 წლების ჩემპიონატში დაამყარა. კევინ ჯონსონმა კი 25 პასით პირადი და „სანზის" რეკორდი დაამყარა ერთ მატჩში ნაჩვენები შედეგით.

ლოს-ანჯელეს ლეიკერზი — საკრამენტო კინგზი 128:123. ლეიკერზმა დამატებით დროში ზედიზედ მეშვიდედ მოიგო შინ. წინა ოთხი მატჩი „საკრამენტოსთან" მას წაგებული ჰქონდა. ჯეიმს ვორსიმ სეზონში ყველაზე ბევრი — 31 ქულა გააკეთა.

ფილადელფია-76 — მილუოკი ბაქსი 115:114. „76"-ელმა ორლანდო ვულრიჯმა (29 ქულა) დამთავრებამდე 6 წამით ადრე ჩააგდო და მოაგებინა თავისიანებს. ჯეფ მელოუნმა 32 ქულა გააკეთა. ამით „ფილადელფიამ" შეწყვიტა 10-მატჩიანი მოუგებელი სერია.

ხუთშაბათი 7 აპრილი

ჰიუსტონ როკიტსი — გოლდენ სტეიტ ვორიორზი 134:102. „ჰიუსტონმა" სეზონში ყველაზე 0000 ბურთი ჩააგდო (წინა მიღწევა — 128 ქულა „ვაშინგტონთან", 21 მარტს), კლუბის რეკორდი დაამყარა ჩაგდებულ სამქულიანებში 12-ჯერ ივარგა შორიდან, რითაც ერთით გააუმჯობესა „დენვერთან" 1991 წლის აპრილში მიღწეული შედეგი. აკიმ ოლაჯუონმა კი კარიერაში მერვე სამმაგი დუბლი შეასრულა 26 ქულა, 13 მოხსნა, 10 პასი.

ნიუ-იორკ ნიქსი — კლივლენდ კავალიერზი 97:94. ნიქსელმა დერიკ ჰარპერმა (22 ქულა) დამატებით დროში ორი სამქულიანი ჩააგდო, ბოლო — დამთავრებამდე 6,7 წამით ადრე. ნიუ-იორკელთა მწვრთნელმა პატ რაილიმ, ვინც 80-იანებში 4-ჯერ გახადა „ლეიკერზი" ასოციაციის ჩემპიონი, მოიპოვა 696-ე გამარჯვება NBA-ში. ამით იგი გაუთანაბრდა მე-10 ადგილზე მყოფ „ნიქსის" ყოფილ მწვრთნელს რედ ჰოლცმანს.

ნიუ-ჯერსი ნეთსი — ატლანტა ჰოქსი 93:87. დერიკ კოულმენმა (24 ქულა, 13 მოხსნა) „ნეთსი" ფლეი-ოფის საზღვრამდე მიიყვანა. „ატლანტაში" საუკეთესო იყო კევინ ვილისი (18 ქულა, 12 მოხსნა).

იუტა ჯაზი — დალას მავერიქსი 99:82. „იუტამ" ბოლო 12 თამაშიდან მესამედ მოიგო. კარლ მელოუნმა 25 ქულა გააკეთა, ფელტონ სპენსერმა — 17 ქულა და 14 პასი. „დალასმა" სროლათა 38 პროცენტი ჩააგდო (77-იდან-29). მის რიგებში თავი გამოიჩინეს ჯამალ მაშბერნმა და შონ რუქსმა — 14-14 ქულა.

დენვერ ნაგითსი — სიეტლ სუპერსონიქსი 104:90. დენვერელმა დიკემბე მუტომბომ იშვიათი სამმაგი დუბლი გააკეთა: 13 ქულა, 13 მოხსნა, 11 დაფარება. მისმა გუნდმა შეწყვიტა ოთხმატჩიანი მოუგებელი სერია და თან „სიეტლს" ზედიზედ 9 გამარჯვების შემდეგ პირველი მარცხი აგემა. გამარჯვებულებს ყველაზე მეტი ქულა მოუტანა რეჯი ვილიამსმა — 24 ქულა. დამარცხებულებს — შონ კემპმა (20 ქულა) და გერი პეიტონმა (17 ქულა).

პარასკევი, 8 აპრილი

ორლანდო მეჯიკი — დეტროიტ პისტონზი 117:103. „ორლანდო" თავის ისტორიაში პირველად გავიდა ფლეი-ოფში. შაკილ ო ნილმა (40 ქულა, 16 მოხსნა) მატჩის მეორე წუთზე ჩატენა და ფარი გატეხა.

ლოს-ანჯელეს ლეიკერზი — დენვერ ნაგითსი 99:112. ეს გუნდები ფლეი-ოფში მოხვედრისთვის ერთმანეთს ებრძვიან. „დენვერმა" ამ მოგებით მკვეთრად გააუმჯობესა მდგომარეობა და ახლა „ლეიკერზს" 4 გამარჯვებით უსწრებს.

ფილადელფია — ნიუ-იორკი 100:97, შარლოტი — ნიუ-ჯერსი 99:78, ბოსტონი — მინესოტა 112:108, ვაშინგტონი — კლივლენდი 108:98, ინდიანა — ჩიკაგო 94:100, სიეტლი — დალასი 111:93, საკრამენტო — ფინიქსი 104:101.

შაბათი, 9 აპრილი

ჰიუსტონი — სან-ანტონიო 100:89, შარლოტი — ფილადელფია 127:122, მაიამი — ორლანდო 105:125, ატლანტა — ვაშინგტონი 117:103, მინესოტა — გოლდენ სტეიტი 105:117, ჩიკაგო — მილუოკი 125:99, იუტა — კლიპერზი 128:104, პორტლენდი — ლეიკერზი 112:104.

კვირა, 10 აპრილი

სიეტლ სუპერსონიქსი — ფინიქს სანზი 111:108. მეოთხე მეოთხედის დასაწყისში „სიეტლი" 17 ქულას აგებდა, მაგრამ ქენდალ გილმა (29 ქულა), შონ კემპმა (21 ქულა, 15 მოხსნა) და გერი პეიტონმა (18 ქულა), სეზონში 57-ედ მოაგებინეს „სონიქსს", რითაც 1980 წელს დამყარებული კლუბის რეკორდი გააუმჯობესეს. „სიეტლი" ამ გამარჯვებით გახდა წყნარი ოკეანის ჯგუფის გამარჯვებული.

ნიუ-ჯერსი — ნიუ-იორკი 107:88, დეტროიტი — ბოსტონი 111:116, დენვერი — ჰიუსტონი 92:93.

მერაბ რატიშვილი



დან მარლიმ სეზონში 178 სამქულიანი ჩააგდო და რეკორდსმენი გახდა

| მდგომარეობა: | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| ატლანტიკის ჯგუფი | | | |
| ნიუ-იორკი * | 52 | 22 | 703 |
| ორლანდო * | 45 | 29 | 608 |
| მაიამი | 40 | 35 | 533 |
| ნიუ-ჯერსი | 40 | 35 | 533 |
| ბოსტონი | 28 | 46 | 378 |
| ფილადელფია | 23 | 52 | 307 |
| ვაშინგტონი | 22 | 53 | 293 |
| ცენტრალური ჯგუფი | | | |
| ატლანტა * | 52 | 23 | 693 |
| ჩიკაგო * | 51 | 24 | 680 |
| კლივლენდი | 42 | 33 | 560 |
| ინდიანა | 39 | 35 | 527 |
| შარლოტი | 35 | 39 | 473 |
| დეტროიტი | 20 | 54 | 270 |
| მილუოკი | 19 | 55 | 257 |
| შუა-დასავლეთის ჯგუფი | | | |
| ჰიუსტონი * | 54 | 20 | 730 |
| სან-ანტონიო * | 52 | 23 | 693 |
| იუტა * | 47 | 28 | 627 |
| დენვერი | 37 | 37 | 500 |
| მინესოტა | 20 | 54 | 270 |
| დალასი | 9 | 65 | 122 |
| წყნარი ოკეანის ჯგუფი | | | |
| სიეტლი * | 57 | 18 | 760 |
| ფინიქსი * | 49 | 26 | 653 |
| პორტლენდი * | 45 | 30 | 600 |
| გოლდენ სტეიტი * | 43 | 31 | 581 |
| ლ. ა. ლეიკერზი | 33 | 41 | 446 |
| ლ. ა. კლიპერზი | 26 | 48 | 351 |
| საკრამენტო | 25 | 49 | 338 |

* — უკვე გავიდნენ „პლეი-ოფში"

## შეგვიტყვია, რომ ...

ჯელი სპორტული ჟურნალისტები, ვინაც შარშან „სანჩეს-ინფანტეს" შემწეობით ქართული კალათბურთის ისტორიაში პირველი „ვარსკვლავთა მატჩი" მოაწყვეს, საოცდაექვსმაისოდ ახლებურ შოუს გეგმავენ. კერძოდ, მათ თურმე გადაუწყვეტიათ საქართველოს ჯერაცშეუქმნელი ნაკრები შეაჯიბრონ იმ სლავი მამლუქებისაგან შედგენილ გუნდს, 1980-იან წლებში თბილისის „დინამოში" რომ თამაშობდნენ. ორგანიზატორთა ჩანაფიქრის მიხედვით სტუმრების ნაკრებს მათი ძველი მწვრთნელი ლევან მოსეშვილი უხელმძღვანელებს, მასპინძლებისას კი — ქორქიათა სამეული. გოგი ავალიშვილის მხარდამხარ იმსაჯებს ჯამლეთ ხუხაშვილი, ნუგზარ ჯულელი მსაჯ-ინფორმატორად მოგვევლინება, ტელევიზიით კი თამაშს რუსულ-ქართულ კომენტარს შეხმატკბილებულად გაუკეთებენ რუსთაველისა და გრიბოედოვის თეატრების წამყვანი მსახიობები. მამლუქთა გუნდში თამაშის სურვილი უკვე გამოუთქვამთ ტიუბინს, კაპუსტინს, რიჟოვს, კორნიშინს, კროპაჩოვს, კოლიჩევს, გლაზოვს, ბოროდაჩოვს, მარჩენკოსა და მილოვიდოვს. რაც შეეხება ალექსი ოპოშნიანს, იგი ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო ჯერაც ორჭოფობს. გარდა ამისა, თამაშს თურმე საპატიო სტუმრებად დაესწრებიან გომელსკი, კონდრაშინი, ნინა ერიომინა, ზურაბ ხრომაევი და 1970-იანი წლების უვარგისი მამლუქები ვასიუტინსკი და როდოხლები, მაყურებლებს კი მუქთად დაურიგებენ კოხტად გამოცემულ კალათბურთის წესებს, რომელთა ქართულად თარგმნაზეც კალათბურთის ფედერაციის შეკვეთით გამალებულად მუშაობენ ალმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში.

ხელბურთის ფედერაცია ეროვნული ჩემპიონატის პარალელურად ხელბურთის გუნდებისათვის აპირებს მინი-ფეხბურთის პირველობის გამართვას. საქმე ისე ყოფილა, რომ ათი-თხუთმეტი წლის წინანდელი „ბურევესტნიკის" წევრები, თურმე ნუ იტყვით, ვარჯიშებზე ხელბურთის ნაცვლად ერთთავად მინი-ფეხბურთს თამაშობდნენ, ხშირად — ნიძლავზეც, და ამისდა მიუხედავად სსრკ ჩემპიონატებში მაინც საპრიზო ადგილებს იჭერდნენ. რაკილა ხელბურთელთა ამჟამინდელი თაობა თავისს სახელოვან წინამორბედებს ოსტატობით დიდად ჩამოუვარდება, ფედერაციას საქმის გამოსასწორებლად ძველი გამოცდილება გაუხსენებია, ვინძლო მინი-ფეხბურთელობით ეხლანდელმა ახალგაზრდობამ სახელბურთო ოსტატობაც აიმაღლოს.

რაგბის ეროვნული პირველობის დებულებაში წელს ორიგინალური მუხლები შეუტანიათ. ისინი თამაშების გადადებას შეეხება. მორაგბეები ერთობ გულხვარი ხალხია და ღლეობა-ქორწილ-ქელეხების ხათრით აქამდეც წარბშეუხრელად გადაჰქონდ-გადმოჰქონდათ ჩემპიონატის მატჩები, ახლა კი ტრადიცია მთლად დაუკანონებიათ და დებულებაში ჩაუწერიათ, რომ „თანაგუნდელის ქორწილის, ღლეობის ან მისი ბებია-ბაბუის ქელეხის გამო თამაში მორიგ გაავდრებამდე უნდა გადაიდოსო". გარდა ამისა, ოფიციალურად აუკრძალავთ თამაშის ოქმებში მოთამაშეთა გვარების შემოკლებულად ჩაწერა (მაგალითად, „ხვ" ხვედელიძის აღსანიშნავად) და ისიც განუსაზღვრავთ, თუ როგორ უნდა მოიქცეს მსაჯი, როცა ერთ მეტოქეს მატჩის დაწყება შუადღისას სურს, მეორეს კი — საღამოს ხუთ საათზე. ამ დროს არბიტრმა თურმე დაწყების დროთა საშუალო არითმეტიკული უნდა გამოთვალოს და ზემოთმოყვანილ შემთხვევაში თამაში სამის ნახევარზე დააწყებინოს.

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციას გაუთვალისწინებია ჩვენი სპორტის დეპარტამენტის მთავარი სპორტული სამმართველოს შუამდგომლობა და გამონაკლისის სახით ნება დაურთავს ლელა მესხისა და ნინო ლუარსაბიშვილისათვის, იასპარეზონ დევისის თასის პირველ წრეში, რომელშიც საქართველოს ვაჟთა ნაკრები სპილოს ძვლის ნაპირზე მაკედონიის, კარელიის, ზანზიბარის, ყატარის, ლუქსემბურგის, მავრიკეთისა და მულლაზანზარის გუნდებს უნდა შეეჯიბროს. ჩვენი ქალების ოსტატობისა და შემართებისა კი გვჯერა, მაგრამ არა გვგონია, იმავე ფედერაციამ კიდევ ერთი გამონაკლისი დაუშვას და ვლადიმერ გაბრიჩიძესა და დავით კაჭარავას ქალთა გუნდებისათვის დაწესებულ ფედერაციის თასზე თამაშის ნება დართოს.

ჯუმბერ ლეჟავა დროებით მაჰმადის რჯულზე მიქცეულა. საბჭოთა პასპორტის გადამკიდე თავგამოდებულმა მოგზაურმა თურმე ვერაფრით მიიღო საუდთა არაბეთში შესვლის ნებართვა და ქართველ მეფეთა მიერ ნაცად ხერხს მიმართა. ამიერიდან ბატონ ჯუმბერს თვით მექაშიც კი მიესვლებოდა, კიდევ ერთი წინააღმდეგობა რომ არა: როგორც არაბსავე მოკეთეებს ურჩევიათ, „ისრაელში დამზადებულ ველოსიპედზე ამხედრებული მუსლიმიც კი შეიძლება გახდეს ისლამური ფუნდამენტალისტების ტერორისტული მისწრაფებების მსხვერპლიო" და მოგზაურისთვის ავანტიურაზე ხელი აუღებინებიათ.

შექმნილა საქართველოს სპორტული ყომარის ეროვნული ასოციაცია, რომელსაც ბინა კუკიის სასაფლაოს სანახების ნაცვლად მუშთაიდის ბაღში, სამეჯლისო ცეკვების სტუდიის მეზობლად დაუდევია. ასოციაცია აერთიანებს სეკას, ჭურდი ქალისა და ზარის მოთამაშეებს. პოკერის მოყვარულებს ცალკე ფედერაციის შექმნა გადაუწყვეტიათ, „აქაოდა საზოგადოებას ზარისტები არ ვეგონოთო!" ასოციაცია პირველი შეჯიბრების — თბილისის ღია პირველობის გამართვას სააღდგომოდ, ჩაის სახლში აპირებს. მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს. მინიმალური ფსონის ოდენობა ადგილზე განისაზღვრება. ასოციაციის პრეზიდიუმის თხოვნით მონაწილეებს რეკეტირებისაგან დაიცავენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები.

# „ქართული კრიკეტის მერმისი საიმედო ხელშია!" უთქვამს სერ კოლდრის



ყაფლან ჟანდიერთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს. რაც უნდა იყოს, ჭარმაგი ბრეჟნევის ხანაში ერთად გვისწავლია თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტზე. მას შემდეგ ჩვენი გზები გაიყარა და ყაფოს (როგორც ფერებით ვუწოდებთ თანააკადემიელები) ხანდახან თუ შევხვდებოდი, რაკილა როგორც ნიჭიერი ხელოვანი და, როგორც ახლაღა შევიტყვე, არანაკლებ მარიფათიანი ბიზნესმენი ხშირად ყოფილა უცხოეთს. ამ იშვიათი, მეტწილად უცაბედი პაემნების დროსაც ყაფო ერთ-ორ ისეთ რამეს მეტყოდა, სულ მთლად გამაოცებდა და ამაფორიაქებდა ხოლმე. ასე იყო ჩვენი ბოლო შეყრისას — დედის დღეს, როცა პატივცემულ თბილისელთა მორიგ თავყრილობაზე, ძველბიჭობის ინსტიტუტის აღორძინებისა და მისი შემდგომი განვითარების ღონისძიებების პერსპექტიული გეგმების შემუშავებას რომ მიეძღვნა, ყაფო ძმაბიჭურად მომეახლა და ტრადიციული სალამ-ქალამის შემდეგ სენსაციური სიახლე დამახალა: „საქართველოს კრიკეტის ასოციაცია, რომლის პრეზიდენტიც გახლავარ, საერთაშორისო საბჭოს სრულუფლებიან წევრად მიგვიღეს!" ის იყო, ელდამ გადამიარა და ყაფლანმაც მეგობრულად დამტუქსა: „ის, რაც მკითხველს „უცხო ხილად" მიასაღეთ, ჩემთვისა და ჩემიანებისათვის დიდი ხანია უმთავრესი ჰობი გამხდარა. კრიკეტი საქართველოში კარგა ხნის დანერგილი გვაქვს და თქვენს ინფორმირებულ გაზეთს ჩვეულებრივ ტყემალზე ჯდომა არ ეკადრებაო!" ჩავეძიე ძველი ნაცნობის ამ განცხადებას და მიუხედავად იმისა, რომ თანდაყოლილი თავმდაბლობის გამო ერთი პირობა გამიოჩნდა, ბოლოსდაბოლოს მაინც დავიყოლიე ბატონი ყაფლან ჟანდიერი და ეს ინტერვიუ ავართვი.

**ბატონო ყაფლან, სად, როდის, როგორ, რატომ და რისთვის ეზიარეთ კრიკეტს?**

ალბათ მოგეხსენებათ, რომ დიზაინური ოსტატობის დასახვეწად ინგლისს, უფრო სწორად კი დარბიშირის საგრაფოს ვიყავ მივლინებული. სწავლის პარალელურად იქ საზოგადო მარაქაშიც გავერიე და თანდათან შევითვისე კრიკეტი, რომელიც მთელს ბრიტანეთში უპირველესი საზაფხულო თამაშია. კრიკეტს ეტანება ყველა: დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, მკვიდრი თუ აზიელი იმიგრანტი. გადაჭარბება არ გამომივა, თუ ვიტყვი, რომ კრიკეტი ბრიტანული კულტურის, მენტალიტეტისა და ყოფის განუყოფელი ნაწილია. ხალხი კრიკეტით სულდგმულობს, კრიკეტი აბოდებს, კრიკეტის ცნებებით აზროვნებს და მეტყველებს. ასე მაგალითად, იტყვიან IT IS NOT CRICKET, რაც ჩვენებურად ნიშნავს, „არაკაცური საქციელიაო!" ერთი სიტყვით, იქაურები კრიკეტს ზნეობის საზომად მიიჩნევენ.

**კეთილი. მაგრამ მაინც რამ გაფიქრებინათ კრიკეტის საქართველოში დანერგვა?**

სიყრმიდანვე დისიდენტი ვიყავი, თუმცაკი არავის ვუმხელდი. მერე და მერე, რომ მოვიწიფე, რაც, სხვათა შორის, აკადემიაში სწავლას დაემთხვა, ნელ-ნელა გავკადნიერდი და არც მეტი, არც ნაკლები, იმ დროს აკრძალული ჯიუ-ჯიცუ ვამჯობინე ხელისუფლების მიერ ნალოლიავებ სამბოს. იმდენად შევტოპე, რომ ჩემი მოღვაწეობით კომპეტენტური ორგანოებიც კი დაინტერესდნენ და მამა-შვილურად მირჩიეს, „ემანდ მიქარვას თავი ანებე და შენს მხატვრობას მიხედეო." მეც სამომავლოდ გადავდე გეგმები და ძლიერთ ამა ქვეყნისათა თავი ისე მოვაწონე, რომ განსასწავლად ჯერ ლატვიას მიმავლინეს, იქიდან კი ინგლისს, სადაც, როგორც უკვე აღვნიშნე, კრიკეტსაც გავუგე გემო.

გამოდარებასა და იდეოლოგიურ დათბობას ვუცდიდი. მართლაც, ცხონებულმა გორბაჩოვმა გარდაქმნის ზარი შემოჰკრა. სად იყო და სად არა, სპორტის ხელმძღვანელმა ორგანოებმა გამოაცხადეს, ამერიკული ბეისბოლი ჩვენი ლაპტის ალალი ბიძაშვილიაო და მთელს საბჭოეთში მისი დანერგვა ბრძანეს.

ვიფიქრე, მეშველა-მეთქი და კეტბურთ-ბეისბოლის მაგივრად ჩვენში კრიკეტის გავრცელება შევთავაზე ოფიციალურ სტრუქტურებს, რის გამოც მათგან მორიგი რისხვა დავიტეხე თავს, აქაოდა „კრიკეტი ინგლისური თამაშია, ბეისბოლი — ამერიკული, ჩვენ კი აშშ-თან გვჭირდება ურთიერთობის გაუმჯობესება და არა დიდ ბრიტანეთთანო. მაგის გარდა, ბეისბოლი ეხერხებათ ჩვენს კუბელ ძმებს, მათი შეგულიანება კი ჩვენი უზენაესი ვალიაო!"

ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე. ამერიკას ეკურკურებით და მეც ამერიკულ სპორტს — მათებურ ბურთაობას, FOOTBALL-ს დაგინერგავთ-მეთქი. მართლაც, მივდექ-მოვდექი და ადგილებზე გავჩარხე საქმე იქაურ ხელმძღვანელებთან. საქმე კარგად აეწყო: შევაკოწიწეთ ხუთი გუნდი და ის იყო, ამერიკული ბურთაობის საქართველოს ეროვნული ლიგის პირველი გათამაშება უნდა დაგვეწყო, რომ ჯერ რაგბის, მერე კი ფეხბურთის ფედერაციებმა ხელისუფლების ზედა ეშელონებში გვიჩივლეს, ეგენი ჩვენს მოთამაშეებს გადაიბირებენ და მოედნებსაც გაგვიპარტახებენო. ჰოდა, ზემოდან მითითების გამო სპორტკომიტეტმა ლიგა გაგვიუქმა.

ეხლა აღარ იკითხავთ, რა შარი მოგვდეს? — გუნდების სახელები ჩვენებურ სტანდარტებსა და გაგებას არ შეეფერებაო. არადა, ხომ მოგეხსენებათ, პროფესიულ სპორტში თუ რა ემოციური მუხტი და მიმზიდველობა აქვს გუნდის ეშხიან, ფამილარულ სახელს. თავად განსაჯეთ, რით არვარგოდა „ბალახვნელი შავი ყორნები", „ავლაბრელი დარდიმანდები", „არბოშიკელი აფთრები", „გორელი სამართლიანი ოხები" ანაც „ბულვარელი ბულბულები", ხელაღებით რომ დაგვიყადაღეს?

თუმცა, როგორც უკვე მოგახსენეთ, სახელთა წუნობა საბაბი იყო ოდენ, მიზეზი კი იყო ის, რომ სპორტკომიტეტს უცხო სახეობის ზარება არად ეპიტნავა, ემანდ კრიჭაში არ ჩამიდგეს და ალტერნატიული სტრუქტურები დამიარსოსო.

ახლა უშუალოდ კითხვაზე გიპასუხებთ. რამ გამაბედვინა კრიკეტის საქართველოში დანერგვა? — რამა და იმან, რომ დაიმსხვრა იდეოლოგიური ჯებირები, მოიშალა ცენტრიდანული წნეხი და ზეწოლა, სპორტის რესპუბლიკურ ხელმძღვანელ სტრუქტურებს კი მოაკლდათ სახელმწიფოს ძიძობა და ფინანსური შეწევნა, რის გამოც ძველებურად ველარ მოგვითითებენ, „გინდათ თუ არა, თანამედროვე ხუთჭიდი ანაც ბატუტზე ხტომა განავითარეთო". დღეს სპორტის არჩევანი თავისუფალია და მეც ჩემი თანამოაზრეებითურთ ვნერგავ, ვავრცელებ, ვქადაგებ რა კრიკეტს, ამით ვასწორებ ისტორიულ უკუღმართობას.

ერთი, რომ კრიკეტი დიდებული თამაშია და ჭეშმარიტად ცოდვაა, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში ვრცელდებოდეს იელოველობა, ბაპაიზმი, და თუნდაც ბალახის ჰოკეი, კრიკეტის არსებობა კი თითქმის არავინ უწყოდეს. მეორე: 1920 წელს საქართველოდან ერთა ლიგის ჯარის ბრიტანული კონტინგენტი რომ არ გაეყვანათ, იმასაც ვნახავდით, ჩვენში დღესდღეობით კრიკეტი იქნებოდა უფრო ცნობილი თუ წითელი არმიის მიერ შემოტანილი ფრენბურთი. და მესამეც: კრიკეტს, უდიდესი აღმზრდელობითი ღირსებების გარდა, ახლო მეზობლებთან საქართველოს დაკავშირების მისსიაც ეკისრება. მჯერა, რომ სულ მალე დადგება დრო და კრიკეტის ოვალზე ხშირ-ხშირად შევეჯიბრებით ინდოეთის, პაკისტანის, შრი-ლანკას, ბანგლადეშის, ისრაელის, არაბთა საამიროების გუნდებს.

**როგორ გესახებათ კრიკეტის მომავალი ჩვენს ქვეყანაში?**

ოდენ წელიწადნახევარია, რაც ეროვნული ასოციაცია დაგვიარსებია და უკვე მიგვიღეს საერთაშორისო საბჭოში, რაც მსოფლიო ასპარეზისაკენ გვიხსნის გზას. ალბათ მოგეხსენებათ, რომ საბჭოს თასის მორი-



გი გათამაშება 1998 წელს მოეწყობა და ჩვენც უკვე დავიწყეთ მზადება ამ მნიშვნელოვანი ღონისძიებისათვის. გაგვახარა საბჭოს თავმჯდომარის, სერ კოლინ კოლდრის გამამხნევებელმა სიტყვებმა, საბჭოში ჩვენი გაწევრების გამო გამოგზავნილ მოლოცვაში რომ ამოვიკითხეთ. მსოფლიო კრიკეტის პატივცემულ მამებს თურმე მიაჩნიათ, რომ ქართული კრიკეტის მერმისი საიმედო ხელშია და იმასაც გვთხოვენ, მათს თამაშში ჩვენი მეზობელი ქვეყნებიც რომ ავიყოლიოთ.

გეგმები დიდი გვაქვს. ჩემი ფირმა TRANSCAUCASUS - სახკინმრეწვ - ESTABLISHMENT LTD საქმეს სერიოზულად შესჭიდებია და კრიკეტის შეწევნა უპირველეს ქველმოქმედებად დაუსახავს. მართალია, ჯერ არა გვაქვს ეროვნული საკრიკეტო ოვალი, რის გამოც ნახევრად ლეგალურად დიღმის ტყე-პარკის სანახებში და ბაგების სტუდქალაქში ვვარჯიშობთ, მაგრამ ფულს არ დავიშურებთ „დინამოს" სტადიონის დასაუნჯებლად, რომლის საპრივატიზაციოდაც საჭირო თანხის — 3 ტრილიონ 860 მილიარდი კუპონის გაღება ჩემი მულტინაციონალური ფირმისათვის საძნელო სულაც არაა. ნუ ეწყინებათ ფეხბურთელებსა და მათს მრავალრიცხოვან ქირისუფლებს, თუ ცოტათი შევავიწროვებთ. დღესდღეობით ხომ ჰანგს ის უკვეთავს, ვისაც ფული ჩეჩქივით აქვს, მე კი მიმაჩნია, რომ ფეხბურთი, სადაც გოლები ველარ გაქვთ, კრიზისს მოუცავს და ქართული სპორტისთვისაც უკეთესი იქნება, თუ დროთა განმავლობაში ამ თამაშის ნაცვლად კრიკეტი დაწინაურდება.

ვიმეორებ, ჩემი ფირმის უახლოესი მიზანი „დინამოს" სტადიონის პრივატიზაციაა. კრიკეტის ოვალის მოწყობას მთავარ ასპარეზზე ვაპირებთ, რის გამოც ამოიძირკვება ფეხბურთის კარები, გაუქმდება მძლეოსნური სექტორი და პარტერის ორი-სამი რიგის დანგრევაც შეიძლება საჭირო შეიქნეს. მოედნის შუაგულში მოვაწყობთ თიხისსაფარიან ზოლს, რასაც ფეხბურთელები, იმედია, გაგებით შეხვდებიან. სავარჯიშოდ გამოვიყენებთ სტადიონისავე წიდოვან მოედანსა და მუშთაიდის საბავშვო რკინიგზასთან მდებარე „ნორჩი დინამოელის" ხასხასა მინდორს.

ამის წამკითხველი ფეხბურთელები, უეჭველია, ქვეყანას შეგვიყრიან და ჩვენს თამამ გეგმებს წინ აღუდგებიან. ამ შემთხვევისათვის მზადა გვაქვს სათადარიგო ვარიანტიც — ვაპირებთ „ლოკომოტივის" სტადიონის დაპატრონებას ანალოგიური საბაბით, რაკილა რაგბშიც კრიზისია, რადგანაც იქაც გაჭირდა ლელოს გატანა, კრიკეტში კი გარბენები ასეულობით გროვდება. აქ, ჩემი აზრით, გამარჯვება გარანტირებული გვაქვს, ვინაიდან ჩვენში რაგბს პატრონი და გამკითხავი არავინა ჰყავს, რისი წყალობითაც იოლად გავაგდებთ კუს ტბაზე ანაც ავლაბარში, ყოფილ ასკ-ის სტადიონზე.

ეს რაც შეეხება სარბიელს. არ გვიჭირს აღჭურვილობაც — ბჭეები, ტაფელები, ნიღბები, წვივსაცავები, მკერდსაცავები, ჩაფხუტები, სომბრეროები, კეპები, სვეტერები თუ სავარჯიშო ბადეები. ჩემმა ძმამ — სევასტიმ ისინი XX საუკუნის ბოლომდე სამყოფად ჩამოგვიტანა შარჯას საამიროდან, სადაც ხშირად ჩადის აბუ-დაბიდან, საიდანაც საქართველოში დუშური თაფლისა და შულავრული დაჩეჩილი მატყლის სანაცვლოდ იაპონური ნავთქურების დიდ პარტიებს ეზიდება.

ერთი სიტყვით, რაგინდ საოცარიც იყოს, ფული არ გვაკლია. საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის თანადგომის იმედიცა გვაქვს. წინასწარი მოლაპარაკება უკვე გავმართეთ საქართველოს მწვანეებთან. ჩვენს წამოწყებას მხარს უჭერენ დიდი დიღმის მცხოვრებლები. ვაპირებთ კრიკეტის დანერგვა-გავრცელებას კერძო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობაში და სხვადასხვა განიარაღებულ ან განსაიარაღებელ შეიარაღებულ ფორმირებაში. როგორც გადმომცეს, საპატრიარქოსაც ლოცვა-კურთხევა შემოუთვლია, ჩვენში კრიკეტის დანერგვა რომ შეუტყვია. ეჭვიც არ მეპარება, რომ თბილისელ მოკრიკეტეებს მალე მიმდევრები გამოუჩნდებიან სხვაგანაც, პირველ ყოვლისა — ქუთაისში, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში ბურთაობის მექადაა ცნობილი.

კრიკეტს პოპულარიზაცია სჭირდება. თქვენდაუნებურად დიდად შეგვიწყვეთ ხელი „სარბიელმა", როცა კრიკეტის ქართული ტერმინოლოგია შეგვიდგინეთ, თორემ ჩვენ გარბენს „რან"-ად ვიხსენიებდით, ბჭეს კი — „ვიქით"-ად. ვიმედოვნებ, რომ კვლავაც გამოაქვეყნებთ მსოფლიო კრიკეტის ყოველკვარტალურ მიმოხილვებს და არც ჩვენს საშინაო მოვლენებს მოაკლებთ ყურადღებას. რაც შეგვეხება უშუალოდ ჩვენ, ფირმას, როგორც იქნა დავიყაბულეთ „იბერვიზია", რომ ტესტ-მატჩების სრული რეპორტაჟები თუ არა, თითოღლიანების გადმოცემები მაინც მოაწყოს.

**სამომავლოდ კიდევ რას ჰპირდებით სპორტის ქომაგებს?**

კრიკეტის განხრით 7 სექტემბერს „დინამოს" სტადიონზე ვაპირებთ საჩვენებელი თამაშის მოწყობას, რომელშიც სამხრეთი აფრიკა — ავსტრალია — ახალი ზელანდიის ნაკრები დანარჩენი მსოფლიოს ვარსკვლავთა გუნდს შეეჯიბრება. სერ კოლინის შუამავლობით თბილისში ჩამოსვლისა და თამაშის სურვილი უკვე გამოთქვეს ვესტ-ინდოეთელებმა ვივ რიჩარდსმა და ჯეფრი დიუჟონმა, ინგლისელმა იენ ბოუსამმა, ინდოელმა ყაფილ დევმა, ავსტრალიელმა ალან ბორდერმა, ახალზელანდიელმა რიჩარდ ჰედლიმ, სამხრეთაფრიკელებმა ბეზილ დოლივეირამ, ჯონთი როუდზმა და ჰანსი კრონიემ, ლანკელმა არჯუნო რანოტუნგამ და, რაღა თქმა უნდა, პაკისტანელებმა სალიმ მალიქმა, იმრან ხანმა, ვაზიმ აკრამმა და ვაყარ იუნუსმა. სტადიონზე საზოგადოების მოსაზიდად ვიტყვი, რომ ამ ხალხის ცქერა ერთბაშად 22 პელეს ჭვრეტის ტოლფასი იქნება.

რაც შეეხება უფრო შორეულ მიზანს, ვოცნებობ დავაარსო თარხან სპორტთა კავშირი (თსკ), რომელშიც გაერთიანდებიან ის არა-ოლიმპიური სახეობები, რომლებსაც სპორტის კომიტეტ-სამინისტრო-დეპარტამენტი არა სწყალობდა, არა სწყალობს და არც უწყალობებს. კავშირში შესვლის პოტენციურ კანდიდატებად მესახებიან, რაღა თქმა უნდა, კრიკეტი პლუს ლიგის რაგბი, ბოულინგი, ავსტრალიური ბურთაობა, სქვოში, ამერიკული ბურთაობა, ბუნიკობანა, გოლფი, გორგოლაჭიანი ჰოკეი, ასუჯრიანი შაში, ნეთბოლი, გო, სპორტული ბრიჯი, ზაბარგაგანა და მისთანები.

**გაგმარჯვებოდეთ თქვენს სასიქადულო საქმიანობაში მთელი ქართული სპორტის საკეთილდღეოდ!**

ესაუბრა ზაზა ფხაკაძე

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი

# ხელბურთელებმა ჩემპიონატი განაახლეს

**ზამთრის სუსხისა და უშუქობის გამო უსაშველოდ გაჭიანურებული შესვენების შემდეგ სპორტის სასახლეში განახლდა ხელბურთელ ვაჟთა მეოთხე ეროვნული ჩემპიონატი. პირველი ეტაპის შემდეგ, დეკემბერში გამოვლენილი ექვსი გუნდი ოთხ წრედ იბრძოლებს პირველობისთვის: ექვსეულს გამოეთიშა „ამირანი-2", რომელსაც უკონკურსოდ მოასპარეზე საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები ცვლის.**

30 მარტი

ამირანი — ორბი 36:19 (19:5)

ამირანი: ქოქოსაძე, როგავა, ანდრიაშვილი (1), კერესელიძე (7), თორდია (4), ნავრატილი (1), გელაშვილი (2), ბერაძე (6), შათირიშვილი (5), ხურციძე (5), სიორიძე (2), ბაბაჯანი (3), იუნანოვი, დ. ბერიკაშვილი.

ორბი: ქისიევი, ქობელაშვილი (6), კარაიანისი (5), ნაროზაული, კილასონია (2), ჩხაიძე (2), კალანდაძე (1), ჩრდილელი (3), სულავა, ჩიხლაძე.

შევარდენი — ჭაბუკთა ნაკრები 44:14 (21:7)

შევარდენი: მასიუკოვი, იაკობიძე (2), კეკელიძე (3), თურქია (4), მჟავანაძე (11), ორჯონიკიძე (10), ურუშაძე (9), ჩაჩანაშვილი (2), მეიფარიანი, გაწერელია (3), ბუთიკაშვილი.

ჭაბუკები: ცხადაია, ტაბატაძე (1), ჩაჩანიძე, ჯღარკავა (4), გვაზავა (3), ლუხუტაშვილი (2), ფერაძე, მჟავია (2), ორბელაძე; დ. ჭაფოძე, დანელია, თურაზაშვილი (2), ზვიადაური, რობაქიძე.

მამული — ახავა (სამტრედია) 35:27 (16:15)

მამული: ჯაფარიძე, გაბრიჩიძე (5), მჭედლიშვილი (6), ჯიაძე, არსენიშვილი (3), გოჩა მაღლაქელიძე (2), კალანდაძე (1); უშვერიძე (11), გიგა მაღლაქელიძე (3), ყიფიაშვილი, ლლონტი, ბარათაშვილი (4), ი. ჭაფოძე, ბარბაქაძე.

ახავა: კიკნაძე, ქოიავა (3), ლომიძე (2), რუხაძე (4), ხელისუფალი (7), კიკაჩეიშვილი (9), კვირკველია (2), ჯულაყიძე, სტურუა.

პირველ დღეს ისეთი მატჩები გაიმართა, რომელთა საბოლოო შედეგების გამოცნობას დიდი მარჩიელობა არ სჭირდებოდა. „ამირანისა" და „ორბის" შეხვედრაში ორბელებმა მხოლოდ ოთხ წუთს გაუძლეს ლიდერს. ანგარიში კარგა ხანს იყო 1:0 შემდეგ ორბი ორი წუთის მანძილზე უშედეგოდ უტევდა, მაგრამ მალე ოც წამში ორი გოლი გაუშვა და ფსიქოლოგიურად აქვე გატყდა. კარგად ითამაშა დამარცხებულთა გარემარბმა გია ქობელაშვილმა, რომლის რამდენიმე გარღვევა ძელმა მოიგერია. „ამირანი" კი დაუძაბავად ზრდიდა ანგარიშს და მეორე ტაიმში მეკარე ქოქოსაძე რომ ეთამაშებინა, მეტოქე გაცილებით ნაკლებ გოლს გაუტანდა.

„შევარდენისა" და ჭაბუკთა ნაკრების მატჩშიც ყველაფერი წინასწარვე იყო გარკვეული. თუმცა, საქართველოს სამგზის ჩემპიონზე მეტად, მისი მეტოქის თამაში გვაინტერესებდა, რადგან ეს გახლავთ ის გუნდი, რომელიც ივნისის შუა რიცხვებში იასპარეზებს რუმინეთში, ევროპის პირველობის შესარჩევ თამაშებში. ჭაბუკთა მწვრთნელმა ჯიმშერ დვალიშვილმა განაცხადა, რომ ჩემპიონატში სამთვიანი პაუზა გუნდმა აბსოლუტურად ვერ გამოიყენა — უსახსრობის გამო ვერც სადმე გაემგზავრა, ვერც შეკრება მოაწყო და მხოლოდ საკონტროლო მატჩებით შემოიფარგლა. თამაშმა აჩვენა, რომ ნაკრები არ არის სათანადოდ მზად, თუმცა ხელბურთელებმა რაც შეეძლოთ, გააკეთეს.

„მამული" — „ახავაც" დაგეგმილად დასრულდა, ოღონდ თბილისელებმა თავს მოდუნების უფლება მისცეს.

31 მარტი

ამირანი — ჭაბუკთა ნაკრები 48:14 (27:8)

ამირანი: დავით ბერიკაშვილი, როგავა, ანდრიაშვილი, კერესელიძე (11), თორდია (5), ნავრატილი (2), გელაშვილი (6), ბერაძე (7), ხურციძე (3), სიორიძე (2), ბაბაჯანი (8), იუნანოვი (4), ოთარ ბერიკაშვილი.

ჭაბუკები: რობაქიძე, ტაბატაძე (7), ჩაჩანიძე (1), ჯღარკავა, გვაზავა (2), ლუხუტაშვილი, ფერაძე (1), მჟავია (1), ჭაფოძე, დანელია, თურაზაშვილი (1), ზვიადაური (1), ცხადაია.

შევარდენი — ახავა 26:14 (14:6)

შევარდენი: ბუთიკაშვილი, იაკობიძე, კეკელიძე (2), თურქია (4), მჟავანაძე (9), ორჯონიკიძე (5), ურუშაძე (2), ჩაჩანაშვილი (1), მეიფარიანი, გაწერელია (3).

ახავა: კიკნაძე, ქოიავა, ლომიძე (1), რუხაძე (5), ხელისუფალი, კიკაჩეიშვილი (7), კვირკველია, ჯულაყიძე (1).

მამული — ორბი 33:25(15:10)

მამული: ჯაფარიძე, გაბრიჩიძე (5), მჭედლიშვილი (3), ჯიაძე (1), არსენიშვილი (2), გოჩა მაღლაქელიძე (2), უშვერიძე (17), გიგა მაღლაქელიძე, ბარათაშვილი (3), ჭაფოძე, ბარბაქაძე.

ორბი: ქისიევი, ქობელაშვილი (9), კარაიანისი (3), კილასონია, (1), ჩხაიძე (4), კალანდაძე (1), ჩრდილელი (2), სულავა, ჩიხლაძე, მერკვილიშვილი (5).



უტევს ბექა ორჯონიკიძე (შევარდენი)

მეორე დღეს ყველაზე საინტერესო იყო „მამული" — „ორბის" შეხვედრა. ინიციატივას თავიდანვე „მამული" დაეუფლა და მთელი მატჩის განმავლობაში მიყავდა ანგარიში. მეორე ტაიმში „ორბმა" ორჯერ შესძლო ანგარიშში სხვაობის სამ ბურთამდე შემცირება, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ მოახერხა. გამარჯვებულთაგან აღსანიშნავია მერაბ უშვერიძის მიერ გატანილი 17 გოლი, ხოლო დამარცხებულთაგან გამოვყოფთ ქობელაშვილისა (9) და მეკარე სპარტაკ ქისიევის კარგ თამაშს.

„ამირანისა" და ჭაბუკთა ნაკრების შეხვედრაში ჩემპიონატის რეკორდი დამყარდა — ლიდერებმა 34-ბურთიანი სხვაობით დაამარცხეს მეტოქე.

1 აპრილი

ამირანი — ახავა 30:17 (11:6)

ამირანი: კერესელიძე, სიორიძე (9), ნავრატილი (3), შათირიშვილი (2), ბაბაჯანი (2), ანდრიაშვილი (3), ხურციძე (5), თორდია (1), როგავა (3), გელაშვილი (2), იუნანოვი.

ახავა: კიკნაძე, კვირკველია (4), ქოიავა (6), ლომიძე (2), რუხაძე (3), ხელისუფალი (2), ჯულაყიძე.

ორბი — ჭაბუკთა ნაკრები 34:26 (16:12)

ორბი: კარაიანისი, ქობელაშვილი (15), ნადირაშვილი (6), კილასონია, ჩხაიძე (4), მერკვილიშვილი (4), კალანდაძე (1), ჩრდილელი (4), ჩიხლაძე.

ჭაბუკები: ცხადაია, ორბელაძე (3), ტაბატაძე (4), ჭაფოძე (5), დანელია (4), თურაზაშვილი (2), ზვიადაური (8).

შევარდენი — მამული 29:28 (15:13)

შევარდენი: ბუთიკაშვილი, ურუშაძე (1), კეკელიძე (2), თურქია (7), მეიფარიანი (3), მჟავანაძე (5), ორჯონიკიძე (5), ტაბიძე (6), ჩაჩანაშვილი.

მამული: ჯაფარიძე, გაბრიჩიძე (4), მჭედლიშვილი, ჯიაძე, არსენაშვილი (4), გოჩა მაღლაქელიძე (1); კალანდაძე (12), უშვერიძე (7).

„შევარდენი" უფრო მობილიზებული ჩანდა. ამის გამო იყო, რომ „მამულმა" პირველი გოლი მხოლოდ მე-7 წუთზე გაიტანა. ეს მეკარე გიორგი ბუთიკაშვილის დიდი დამსახურებაც იყო. ტაიმის შუაწელს შევარდნელები 7:2 დაწინაურდნენ და თითქოს მატჩის ბედიც უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ მსაჯებმა ზედიზედ ორჯერ ორ-ორი წუთით გააძევეს მოედნიდან საქართველოს სამგზის ჩემპიონთა ლიდერი ბექა ორჯონიკიძე, რითაც „მამულმა" ისარგებლა და ანგარიში 7:5 გახდა. შესვენებაზეც გუნდები ორბურთიანი სხვაობით წავიდნენ, მანამდე კი საინტერესო არაფერი მომხდარა.

მეორე ტაიმის დასაწყისში „შევარდენმა" კვლავ იძალა. ბუთიკაშვილის საიმედო თამაშს მამულელთა შეცდომებიც დაერთო და დაწინაურებულებს კვლავ მიეცათ ბურთების დიდი მარაგის შექმნის საშუალება, მაგრამ აქ მთელი ძალით ათამაშდა თურქეთიდან დაბრუნებული „მამულის" მოთამაშე ტიტე კალანდაძე, რომელსაც მთელი მატჩის მანძილზე ორჯონიკიძესთან დუელი ჰქონდა და აჯობა კიდეც ძლიერ მეტოქეს. კალანდაძემ თავისი გუნდის უკლებლივ ყველა გატანილ გოლში მიიღო მონაწილეობა და დამთავრებამდე 5,22 წუთით ადრე არსენაშვილს ანგარიში გაათანაბრებინა — 26:26. მანამდე კი, მამულელმა ზაზა ჯიაძემ შეაგინა მსაჯს იური კოსიაკოვს და ამის გამო მატჩის ბოლომდე გააძევეს. საფინალო სასტვენამდე 3,45 წუთით ადრე ისევ კალანდაძემ ერთი ბურთით დააწინაურა თავისიანები, მაგრამ „შევარდენის" 42 წლის ვეტერანი ამბერკი ტაბიძე, ვინც სამაგალითოა მოედანზე თამაშის კულტურითაც და ქცევითაც, ფრთიდან შეიჭრა და ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ მანვე „მამულის" შეტევისას მეტოქის პასი ჩაჭრა და გამარჯვების გოლიც გაიტანა, ბუთიკაშვილმა კი სასწაულით მოიგერია მამულელთა უკანასკნელი შეტევა.

3 აპრილი

ახავა — ორბი 28:25 (15:10)

ახავა: კიკნაძე, კვირკველია (7), ლომიძე (3), ქოიავა (6), რუხაძე, კიკაჩეიშვილი (2), ჯულაყიძე (5), ხელისუფალი (5).

ორბი: ალასანია, ქობელაშვილი (15), ჩრდილელი, სულავა (2), კილასონია (3), ჩხაიძე (4), მერკვილიშვილი (1), კალანდაძე.

მამული — ჭაბუკთა ნაკრები 50:21 (19:11)

მამული: ჯაფარიძე, უშვერიძე (18), გიგა მაღლაქელიძე (6), არსენაშვილი (8), გოჩა მაღლაქელიძე (3), კალანდაძე (11), ჭაფოძე (3), ბარბაქაძე.

ჭაბუკები: რობაქიძე, ტაბატაძე (4), ჭაფოძე (6), ჯღარკავა (2), გვაზავა (3), ლუხუტაშვილი (1), ფერაძე (1), თურაზაშვილი (3), მჟავია (1), ცხადაია.

ამირანი — შევარდენი 28:28 (11:15)

ამირანი: ქოქოსაძე, როგავა (2), ანდრიაშვილი (2), კერესელიძე (5), თორდია (9), გელაშვილი (8), ნავრატილი (1), ბაბაჯანი (1), ბერაძე, კენჭაძე.

შევარდენი: ბუთიკაშვილი, კეკელიძე (1), თურქია (6), მეიფარიანი (1), მჟავანაძე (4), ტაბიძე (3), ორჯონიკიძე (11), ჩაჩანაშვილი (1), იაკობიძე (1).

ტურის ამ ერთ-ერთ ცენტრალურ მატჩს, ცხადია, ყველაზე მეტი მაყურებელი დაესწრო. პირველ წუთებში ძირითადად მეკარეებმა ივარგეს — ამირანელი თამაზ ქოქოსაძე და შევარდნელი გიორგი ბუთიკაშვილი აშკარად ჯობდნენ თავდამსხმელებს. ამ მიზეზით, მეათე წუთამდე ანგარიში 2:2 იყო — ბურთები გუნდების ლიდერებმა კობა თორდიამ და ბექა ორჯონიკიძემ გაიტანეს. მე-17 წუთზე „ამირანის" მოთამაშემ ლევან გელაშვილმა მეტოქის დაცვის ხაზი გაარღვია და თანაგუნდელები 8:5 დააწინაურა. ამის შემდეგ დაიწყო დაუჯერებელი: „ამირანი" შეტევაში მიამიტურ შეცდომებს უშვებდა, ბუთიკაშვილი სასწაულებს სჩადიოდა (12 წუთში ერთად-ერთი ბურთი გაუშვა), „შევარდენმა" თამაში ააწყო და 21-ე წუთზე მჟავანაძემ წინ გაიყვანა თავისიანები 10:9.

ის 12-წუთიანი მონაკვეთი „შევარდენმა" 10:1 მოიგო და ტაიმიც თავის სასარგებლოდ დაასრულა — 15:11.

მეორე ტაიმის საწყის 12 წუთში ანგარიშში სხვაობა 3-4 ბურთს შორის მერყეობდა. „ამირანი" ვერაფრით დაუახლოვდა მეტოქეს, რომელიც შუა ტაიმში უკვე 8 ბურთით გაიჭრა წინ. აქ პირველი ნახევრის სიტუაცია განმეორდა, ოღონდ პირიქით: „შევარდენი" მოდუნდა, მისი მოთამაშეები ზედმეტად ჩქარობდნენ და ამის გამო ხშირად ცდებოდნენ. „ამირანმა" კი, გელაშვილის მიერ შეგულიანებულმა, დამთავრებამდე 3,14 წუთით ადრე გაათანაბრა ანგარიში (მერაბ როგავა) — 26:26. შემდეგ გიორგი თურქიამ და თორდიამ გოლები გაცვალეს. მატჩის დამთავრებამდე 22 წამით ადრე, ამბერკი ტაბიძემ, როგორც საუკეთესო წლებში, საჯარიმოს კიდიდან დააწინაურა „შევარდენი". საქმე თითქოს მოთავებული იყო მაგრამ „ამირანმა" გონივრულად გამოიყენა ბოლო შეტევა და საფინალო სასტვენამდე ორი წამით ადრე გელაშვილმა საბოლოოდ აღადგინა წონასწორობა.

ასე დაკარგეს შევარდნელებმა ნაღდი ქულა და მატჩის შემდეგ სცადეს ყველაფერი მსაჯებისთვის გადაებრალებინათ. არბიტრები იქნებ სცოდავდნენ კიდეც, მაგრამ როცა 8-ბურთიან უპირატესობას ასე გაფლანგავ, პასუხი პირველ რიგში საკუთარ თავს უნდა მოკითხო.

4 აპრილი

ახავა — ჭაბუკთა ნაკრები 29:13 (13:4)

ახავა: კიკნაძე (1), კვირკველია (12), ლომიძე (1), ქოიავა (8), კიკაჩეიშვილი (2), ჯულაყიძე (5), ხელისუფალი.

ჭაბუკები: რობაქიძე, ტაბატაძე (1), ჩაჩანიძე (4), ჯღარკავა, გვაზავა (1), ლუხუტაშვილი, ფერაძე, მჟავია, დანელია (4), თურაზაშვილი (1), ზვიადაური (2), ორბელაძე, ჭაფოძე.

შევარდენი — ორბი 19:16 (13:9)

შევარდენი: ბუთიკაშვილი, იაკობიძე (3), ურუშაძე (5), ჩაჩანაშვილი (2), თურქია (5), გაწერელია (2), ორჯონიკიძე (2).

ორბი: ქისიევი, ქობელაშვილი (7), სულავა (1), კარაიანისი (2), კილასონია, ჩხაიძე (2), მერკვილიშვილი (1), ჩიხლაძე (3), ალასანია.

ამირანი — მამული 26:32 (12:17)

ამირანი: ქოქოსაძე, როგავა (2), ანდრიაშვილი (4), კერესელიძე, თორდია (9), გელაშვილი (4), ნავრატილი (2), თხილავა, იუნანოვი (1), კენჭაძე, ბაბაჯანი, ბერაძე (4).

მამული: ჯაფარიძე, უშვერიძე (4), გაბრიჩიძე (9), ჯიაძე (1), არსენიშვილი (1), გოჩა მაღლაქელიძე (5), კალანდაძე (12).

ეს შეხვედრა თავიდანვე „მამულის" უპირატესობით წარიმართა და უკვე შუა ტაიმში ლიდერი ხუთ ბურთს აგებდა. შესვენების შემდეგ „ამირანმა" სცადა თამაშში გარდატეხის შეტანა, რისთვისაც ხშირ შეცვლებს მიმართა. მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა. „მამულმა" ძირითადად მეკარე დაჩი ჯაფარიძის, აგრეთვე ტიტე კალანდაძისა და ზაზა გაბრიჩიძის ჩინებული თამაშის წყალობით ახლოც არ მიუშვა მოწინაღმდეგე.

ფინალის პირველი წრის შემდეგ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამირანი | 11 | 9 | 1 | 1 | 356-243 | 19 |
| შევარდენი | 11 | 8 | 2 | 1 | 323-242 | 18 |
| მამული | 14 | 8 | 1 | 2 | 402-302 | 17 |
| ორბი | 11 | 4 | 0 | 7 | 302-307 | 8 |
| ახავა | 11 | 3 | 0 | 8 | 203-288 | 6 |

## ბომბარდირები

ბომბარდირთა სიას ლიდერის ალეკო ბოყოჩაძის არყოფნაში, რომელმაც ტრავმის გამო გამოტოვა მეორე ტური, 84 გოლით სათავეში ჩაუდგა „მამულის" 23 წლის თავდამსხმელი ზაზა გაბრიჩიძე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მან 11 თამაშში მიიღო მონაწილეობა, ბოყოჩაძეს კი ისევ 6 დარჩა. რადგანაც სნაიპერთა ათეულის სხვა წევრებსაც თამაშების არათანაბარი რაოდენობა აქვთ, ამიტომ გთავაზობთ სიას საშუალო შედეგიანობის მიხედვით (პირველ გრაფაში აღნიშნულია გატანილი გოლების რაოდენობა, მეორეში — თამაშები, მესამეში კი საშუალო შედეგიანობა):

ალეკო ბოყოჩაძე, „ორბი"
76 6 12,7

მერაბ უშვერიძე, „მამული"
39 4 9,7

ტიტე კალანდაძე, „მამული"
62 7 8,9

ზაზა გაბრიჩიძე, „მამული"
84 11 7,6

ბექა ორჯონიკიძე, „შევარდენი"
71 10 7,1

კობა თორდია, „ამირანი"
78 11 7,1

გია ქობელაშვილი, „ორბი"
52 8 6,5

მიხეილ კერესელიძე, „ამირანი"
54 9 6,0

გია მამაცაშვილი, გორი
42 7 6,0

გიორგი თურქია, „შევარდენი"
57 10 5,7

## მსაჯები გარბიან

ხელბურთელ ვაჟთა მეოთხე ეროვნულ ჩემპიონატს თავისი გრძელი გზის ჯერ ნახევარიც არ გაუვლია, ისე კი შეიძლება მოხდეს, რომ ბოლომდე ვერც მიაღწიოს. უბედურება ისაა, რომ თითქმის ყოველ პრინციპულ თამაშში იქმნება კონფლიქტური სიტუაციები, რომლებშიც განტევების ვაცის როლში ერთთავად არბიტრები არიან და ჯოხიც მხოლოდ მათზე ტყდება. დეკემბერში ჩატარებული პირველი ტურის შემდეგ ვწერდით, რომ ჩემპიონატის მთავარი მსაჯის თამაზ ჩხარტიშვილის ხელთ სულ 5-6 არბიტრი იყო, ვინც თამაშებს ემსახურებოდა. იმ ტურის შემდეგ თავად ბატონმა თამაზმა და კიდევ ორმა მისმა კოლეგამ მიატოვა ჩემპიონატი. ერთი კვირის წინ კი მეორე ტურის დროს, ახალმა მთავარმა მსაჯმა ჯუანშერ აბშილავამ განაცხადა, ერთი ეს ტური ბოლომდე მიმაყვანინა და აქეთ გამომხედავი არა ვარო. იგივე აზრისაა ერთი წამყვანი მსაჯიც.

ამ ტურის 15 თამაშმა სულ 4 არბიტრის ზურგზე გადაიარა. ისე მოხდა, რომ „ამირანისა" და „შევარდენის" მეტად პრინციპული მატჩის წინ მთავარ მსაჯს მხოლოდ გია ბროლაძელა შემორჩა. აღსანიშნავია, რომ მან თავისი პრინციპული და მიუკერძოებელი მსაჯობით შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა. ლიდერთა ჩაშლის პირას მდგარი მატჩი ბატონმა ჯუანშერმა იხსნა და თავად გავიდა მოედანზე. თითქმის მთელი თამაში ნორმალურად მიმდინარეობდა და სამსაჯოდაც დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. შეხვედრის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე „შევარდენი" რვა ბურთით იყო წინ — 26:18 და საქმეც მოთავებული ჩანდა. „ამირანს" მატჩის ხსნის თითქმის არავითარი შანსი აღარ ჰქონდა და ინერციით აგრძელებდა თამაშს. მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა ზედიზედ სამი-ოთხი შედეგიანი შეტევის განხორციელება და მოედანზე სიტუაციაც მკვეთრად დაიძაბა. მსაჯობით უკმაყოფილო „შევარდენის" მწვრთნელებმა პროტესტის ნიშნად გუნდს მოედანი დაატოვებინეს, რამაც, ვფიქრობთ, მათი მღევრების წისქვილზე უფრო დაასხა წყალი. მართალია, ორიოდე წუთში თამაში განახლდა, მაგრამ ფსიქოლოგიური და სათამაშო უპირატესობაც უკვე „ამირანის" ხელთ იყო და საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრე მათ გაყაიმეს ანგარიში — 26:26.

სამწუხაროდ, ნებისმიერ სადავო სიტუაციაში ყოველი დასტვენა დაჯარიმებულთა მხრიდან ისეთ აღშფოთებას, ხელების ქნევასა და შეძახილებს იწვევს, თითქოს მსაჯს სახელმწიფო დანაშაული ჩაედინოს. მადლობა ღმერთს, იმ ოთხ კონფლიქტურ შეხვედრაში, რომლებიც ტურის ბოლო დღეებში შედგა, მსაჯების გალახვამდე საქმე არ მისულა და დამნაშავენი მხოლოდ სიტყვიერი შეურაცხოფით შემოიფარგლნენ. მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, მალე არც ფიზიკური ანგარიშსწორებაა გამორიცხული.

შარშანდელი ჩემპიონატის მომსახურებისათვის ერევნიდან მოიწვიეს ორი ყოფილი საკავშირო კატეგორიის მსაჯი, რომლებიც მშვენივრად გაუძლვნენ რთულ თამაშებს და მათ მიმართ უკმაყოფილებაც არავის გამოუხატავს. განა ისინი არ უშვებდნენ შეცდომებს, მაგრამ მათ სულგრძელად პატიობდნენ. ჩვენ არბიტრებს კი, სხვათაშორის მათზე არანაკლებად კვალიფიციურთ, შინაური მღვდლისა არ იყოს, შენდობა არა აქვთ და ხან ერთი მხარე სწამებს მოწინააღმდეგის მიმხრობას, ხანაც მეორე. იქნებ მოვიდა დრო, შარშანდელი კეთილად დასრულებული ექსპერიმენტი გავიმეოროთ და კვლავ ვუხმოთ მეზობლებს ჩვენი ჩემპიონატის გადასარჩენად. თორემ ის სამი მსაჯი, გათამაშებას რომ შემორჩა, საქმეს ნამდვილად ვერ აუვა და აპრილის ბოლოსთვის დაგეგმილი მომდევნო ტური ალბათ, უარესად ჩაივლის, თუ კი საერთოდ არ ჩაიშალა.

სადღეისოდ ჩემპიონატს ნამდვილად აკლია მტკიცე ხელი. ამიტომ, საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ ყველაფერი უნდა იღონოს შეჯიბრების გადასარჩენად.

გია ახალაძე
მერაბ რატიშვილი

დევისის თასი

# ავსტრალიელთა ფიასკო პეტერბურგში

პარასკევს დაწყებულ დევისის თასის 83-ე გათამაშების სტარტზევე უდიდესი სენსაცია მოხდა. ჩოგბურთელთა ამ ყველაზე პრესტიჟული გუნდური ჯილდოს 26-გზის მფლობელი და შარშანდელი ფინალისტი ავსტრალიის ნაკრები სანქტ-პატერბურგში გაანადგურა რუ-



ევგენი კაფელნიკოვი

სეფის გუნდმა ევგენი კაფელნიკოვის, ალექსანდრე ვოლკოვისა და ანდრეი ოლხოვსკის შემადგენლობით. მწვანეკონტინენტელები ცხრა მთას იქით ულიდეროდ, მსოფლიოს 21-ე ჩოგნის ვოლი მაზურის გარეშე გაემგზავრნენ, თუმცა მაინც ჰქონდათ წარმატების იმედი, მაგრამ შაბათს, უიმბლდონის ჩემპიონებისა და სადღეისოდ მსოფლიოს პირველი წყვილის ტოდ ვუდბრიჯისა და მარკ ვუდფორდის მარცხმა კაფელნიკოვსა და ოლხოვსკისთან შეხვედრაში — 4:6, 0:6, 6:3, 6:4, 3:6 სტუმრები კატასტროფის წინაშე დააყენა. წარსულში ცნობილი ჩოგბურთელის ვადიმ ბორისოვის ბიჭებმა ხელიდან არ გაუშვეს შანსი და კვირას საბოლოოდ მოუღეს ბოლო მეტოქეს — 4:1.

დანარჩენ მატჩებში მოულოდნელობა არ მომხდარა და ფავორიტებმა მეტნაკლები სიიოლით გაიკვლიეს გზა მეოთხედფინალისკენ. ამერიკელებმა ინდოელებთან, შვედებმა დანიელებთან, ხოლო ჰოლანდიელებმა ბელგიელებთან შეხვედრებში ვადამდე, უკვე შაბათს გაინაღდეს მოგება — 3:0, სხვებს კი მართალია, შედარებით გაუჭირდათ, მაგრამ ბოლოს მათთვისაც ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

ავტრიის ქალაქ ლინცში მასპინძელთა გუნდი თომას მუსტერის წინამძღოლობით ბევრს ეცადა, თუმცა მაინც ვერაფერს გახდა თასის ამჟამინდელ მეპატრონესთან, გერმანიის ნაკრებთან მატჩში — 2:3. აქაც გადამწყვეტი გამოდგა წყვილთა პაექრობა, რომელშიც სტუმართა ლიდერმა მიხაელ შტიხმა და მისმა პარტნიორმა პატრიკ კიუნენმა მიაღწიეს წარმატებას ხუთ სეტში. კვირას მუსტერმა შეძლო შტიხის დამარცხება — 6:4, 6:7, 4:6, 6:3, 12:10 და გუნდური ანგარიში გაათანაბრა — 2:2. გამარჯვების ქულა გერმანელებს მარკ გელნერმა მოუტანა ჰორსტ სკოფის ძლევით — 3:6, 6:4, 7:5, 6:1.

საფრანგეთის ნაკრები მინიმალური დანაკარგით (4:1) გავიდა მეოთხედფინალში. მიუხედავად ამისა, მათმა ლიდერმა გი ფორჟემ ძალზე განიცადა წაგება ყოფილ საბჭოელ, ამჟამად კი უნგრეთის მოქალაქე იოსიფ კროჩკოსთან.

ჩეხებმა ასეთივე ანგარიშით თელ-ავივში სძლიეს ისრაელის ნაკრებს, ესპანელებმა კი შინ აჯობეს იტალიელებს.

15-17 ივლისს, მეოთხედფინალში გერმანიის ნაკრები ესპანელებს შეხვდება, აშშ — ჰოლანდიას, შვედეთი — საფრანგეთს და რუსეთი — ჩეხეთს.

გია ახალაძე

ფორმულა 1

# „ბენეტონი“ მოგებით იწყებს



კვირას სან-პაულუში, ბრაზილიის „გრან-პრის“ გათამაშებით დაიწყო მსოფლიოს 45-ე ჩემპიონატი ფორმულა-1 ავტორბოლაში.

ტროპიკული თავსხმის შემდეგ, რამაც უაზრო გახადა შაბათის კვალიფიკაცია, ბუნებამ მეორე დღეს პილოტებიცა და მათი ჭიდილის, უფრო კი თანაქალაქელ აირტონ სენას საცქერად მისული უამრავი გულშემატკივარი დაინდო და მთელი რბოლა მოღრუბლული კი იყო, მაგრამ აღარ გაავდრებულა.

საკვალიფიკაციო წრეებზე, როგორც მოსალოდნელი იყო, საუკეთესო დრო სწორედ ბრაზილიელმა „ჯადოქარმა“ აჩვენა და თავისი 11-წლიანი კარიერის მანძილზე 63-ედ დაიკავა სტარტზე პირველი პოზიცია.

სენსაცია იყო დებიუტანტის, „ზაუბერის“ გერმანელი პილოტის კარლ-ხაინც ფრენცენის მეხუთე შედეგი, თუმცა საერთო აზრით, ეს „ფორდის“ შესანიშნავძრავიანი ბოლიდის დამსახურება უფროა.

პირველი რბოლა იღბლიანი გამოდგა „ფერარისთვის“, რომელიც მის კონსტრუქციაში შეტანილმა რადიკალურმა ცვლილებებმა გაცილებით ბრძოლისუნარიანი გახადა. მართალია, გუნდის პირველი პილოტი ავსტრიელი გერჰარდ ბერგერი ძრავის მიზეზით უკვე მეხუთე წრეზე გამოეთიშა რბოლას, სამაგიეროდ ფრანგმა ჟან ალეზიმ ბოლომდე მშვენივრად იარა და საპატიო მესამე ადგილიც დაიკავა.

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ წლეულს უამრავ შეზღუდვასთან ერთად დაშვებაც გააკეთა — ამიერიდან ისევ ნებადართულია რბოლის მსვლელობისას საწვავის ჩამატება. ეს, ცხადია, შესამჩნევად ზრდის ნახევრადცარიელი ავზით ასპარეზობისას მანქანის მანევრირებასა და სიჩქარეს, მეორე მხრივ კი ქმნის ხანძრის საშიშროებას, რაც შეიძლება დიდი უბედურების მიზეზი გახდეს.

სტარტიდანვე წინ წასულ სენას მიხაელ შუმახერი და ალეზი ჩაუდგნენ კვალში. ჩინებულად მუშაობდა ლიდერის „რენოს“ ძრავიანი „უილიამსი“ — უკვე მეათე წრეზე ხუთ პილოტს უსწრებდა ერთი წრით. სენა ყოველმხრივ ცდილობდა შუმახერიც საკმაოდ ჩამოეტოვებინა, მაგრამ არც გერმანელის „ბენეტონი“ ყოფილა ჯაგლაგი — 23-ე წრეზე მან ადვილად აუარა გვერდი წინ წასულს. ბევრმა ეს დროებით მოვლენად ჩათვალა, მაგრამ სენა ლიდერობის დაბრუნების ნაცვლად სულ უფრო და უფრო რჩებოდა უკან.

უმძიმესი ავარია მოხდა შუა რბოლაში, როდესაც „ბენეტონის“ მეორე პილოტმა, ჰოლანდიელმა დებიუტანტმა ვერსტაფენმა საჭე ვერ დაიმორჩილა, დიდი სიჩქარით სამ მანქანას შეეჯახა და ჰაერში სახიფათო მალაყიც გააკეთა. საბედნიეროდ, ყველაფერი უმსხვერპლოდ დამთავრდა.

ამასობაში, საბურავების მეორედ შეცვლის შემდეგ, სენამ თანდათან უმატა ტემპს და ყოველ წრეზე თითო წამს უგებდა შუმახერს. მაგრამ მათ ბრძოლას ბოლომდე გაგრძელება არ ეწერა — ფინიშამდე 15 წრით ადრე ბრაზილიელს არც თუ რთულ მოსახვევში მანქანა მოუსრიალდა და შუა გზაზე გაეხირა. „ჯადოქარმა“ ვერაფრით შეძლო „უილიამსის“ ადგილიდან დაძვრა და ამით მისთვისაც და თითქმის ნახევარი სან-პაულუსთვის რბოლა დამთავრდა — ათასობით გაწბილებულმა მაყურებელმა მაშინვე დატოვა ავტოდრომი.

შუმახერს კი ფინიშამდე არანაირი პრობლემა არ გასჩენია და უზარმაზარი უპირატესობით მოიგო წლევანდელი ჩემპიონატის პირველი „დიდი პრიზი“.

გია ახალაძე

27 მარტი. ბრაზილიის „გრან-პრი“. „ინტერლაგოსის“ ავტოდრომი. წრის სიგრძე 4325 მ. 71 წრე (307,075 კმ).

1. მიხაელ შუმახერი („ბენეტონი“, 10 ქულა); 2. დეიმონ ჰილი („უილიამსი“, 6) — ჩამორჩა 1 წრით; 3. ჟან ალეზი („ფერარი“, 4) — 1 წრით; 4. რუბენს ბარიჩელო („ჯორდანი“, 3) — 1 წრით; 5. იუკიო კატაიამა („ტირელი“, 2) — 2 წრით; 6. კარლ ვენდლინგერი („ზაუბერი“, 1) — 2 წრით; 7. ჯონი ჰერბერტი („ლოტუსი“); 8. პიერლუიჯი მარტინი („მინარდი“); 9. ერიკ კომა („ლარუსი“); 10. პედრო ლამი („ლოტუსი“); 11. ოლივიე პანი („ლიჟიე“); 12. დევიდ ბრებჰემი („სიმტეკი“).



**მიხაელ შუმახერი**

გერმანია

დაიბადა 1969 წლის 3 იანვარს ხიურტ-ხელმურხაიმში. სიმაღლე 174 სმ, წონა 67 კგ.

უყვარს იტალიური კერძები. საყვარელი სასმელი — ლუდი.

ფორმულაში პირველი სტარტი — ბელგიის „გრან-პრი“ (25.08.91). პირველი გამარჯვებაც სწორედ ბელგიაში მოიპოვა 1992 წლის 30 აგვისტოს.

1992 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი.

სადღეისოდ შუმახერის ანგარიშზეა 39 რბოლა, სამი მოგებული „გრან-პრი“ და 119 ქულა.

სნოუბორდი



# ბურდულებს საქმე აუწყვიათ

ვინც შეძლო და არ დაიზარა შორ და ოღრო-ჩოღრო გზაზე ჯაყჯაყი, ნამდვილად არ უნანია — 27 მარტის კვირადღეს გუდაურში გამართული საქართველოს სნოუბორდისტთა მეორე ღია ჩემპიონატი მართლაც კარგი სანახაობა გამოდგა. დღევანდელობის კვალობაზე არც მონაწილეთა რაოდენობა დაიწუნებოდა (23 ვაჟი, 7 ქალი), არც მაყურებლისა, ავსტრიელ, გერმანელ, შვეიცარიელ სნოუბორდისტთა სტუმრობა კი, რა ლაპარაკია, უეჭველად მიეკუთვნებოდა დღეს ასე იშვიათ სასიამოვნო მოულოდნელობათა კატეგორიას. ეს ყოველივე, ცხადია, შეჯიბრების თაოსანთა, რაღა თქმა უნდა, სპონსორის — ფირმა „კობის“ და სტუმართა ქვეყნების ფედერაცია-ასოციაციების დამსახურება გახლდათ (ამ უკანასკნელთა იმიტომ, რომ გაბედეს კიდეც და არც სახსრები დაიშურეს შორეულ და არეულ საქართველოში სპორტსმენთა გამოსაგზავნად).

მასპინძელთა ფავორიტს პალიკო ბურდულს ხელი მოეცარა — ტრასაზე დაეცა. მეორედ კი მშვენივრად დაეშვა — მეათედი წამით ჩამორჩა გამარჯვებულს, მაგრამ ეს უკვე აღარ ეთელებოდა — უკონკურსოდღა ასპარეზობდა. უძლიერესმა, შვეიცარიელმა როლანდ თომკემ (51,93 წამი) ყველა გააოცა სრიალის უბადლო ოსტატობით, ჩვენ კი, ცოტა არ იყოს, უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაგდო — კარგს იზამთ, თუ იმ ნომერს, რომელშიც შეჯიბრებას მიმოიხილავთ, სახლში გამომიგზავნითო. დაპირებით კი, იცოცხლეთ, დავპირდით, მაგრამ ჩვენი ყოფის გადამკიდეთ იმის შიში გვაქვს, კავშირგაბმულობამ სირცხვილი არ გვაჭამოს სტუმართან.

მეორე და მესამე ადგილებზე მასპინძლები გავიდნენ — მამუკა ბურდული (55,28), ჩვენი სნოუბორდისტების ასოციაციის თავკაცი, ერთობ ყურადღებიანი და სტუმართმოყვარე ადამიანი და როლანდ ბურდული (55,89), იუნიორთა მსოფლიო პირველობაზე გამგზავრების პრეტენდენტი. ენამახვილი ხალხი ამისთანა შემთხვევას ხელიდან რას გაუშვებდა და აკი იხუმრეს კიდეც — ამათ თუ ასე გააგრძელეს, ამ სახეობას ჩვენში სნოუბურდული დაერქმევაო.



როლანდ თომკე

ქალთა კვარცხლბეკი პირწმინდად „უცხოური“ იყო: I — ბეატრის სალი (შვეიცარია, 1.03,83), II — კარინ შინდტი (შვეიცარია, 1.05,71), III — დანიელა აკერმანი (გერმანია, 1.14,46). პირველ ჩემპიონატში გამარჯვებული ნანა გველებიანი ამჯერად მეოთხე იყო.

ერეკლე კიკილაშვილი,
დავით იოსელიანი

გუდაური — თბილისი

## აქეთური, იქითური

მილუოლის საფეხბურთო კლუბში წინა შაბათს, დიდი „კრივი“ გაიმართა. კრივის მსოფლიო ორგანიზაციის ვერსიით მძიმეწონოსანი მსოფლიო ჩემპიონი, თავხედი ამერიკელი მაიკლ ბენთი ნორიჯელ ჰარბი ჰაიდს შეერკინა. მოკრივეებმა ჯერ კიდევ იანვარში, მატჩის პრეზენტაციისას წააყარეს მუშტები ერთმანეთს, რისთვისაც ორივე დააჯარიმეს; ახლა კი, ნაღდი კრივი ერთობ სავალალოდ დასრულდა: ჰაიდმა 28 წლის ბენთი მესამე და მეშვიდე რაუნდებში თითოჯერ დასცა რინგზე და რეფერიმაც ნოკაუტი აღნუსხა. ნაცემი ამერიკელი გასახდელამდე კი თავად მილასლასდა, მაგრამ იქ გონი დაკარგა. ბენთი საავადმყოფოში გააქანეს, სადაც თავის ტვინის მძიმე ტრავმები დაუდგინეს. ორდღიანი ინტენსიური თერაპიის შემდეგ მოკრივე გადარჩა, მაგრამ ექიმმა მის ოჯახსა და მენეჯერს განუცხადა, რომ კრივზე სამუდამოდ უნდა აიღოს ხელიო. რაც შეეხება ჰაიდს, მას მუჰამედ ალის ერთ-ერთმა პირველმა იმპრესარიომ ბობ არამმა დაადგა თვალი და სამი შერკინებაც გაუჩარხა: პირველი მათგანი ამ ზაფხულს გერმანიაში გაიმართება. იქ ჰაიდი ამერიკელ ტომი მორისონს ეჩხუბება.

*

ლაჰორში პარასკევს, ვაჟ ბალახის ჰოკეისტთა ჩემპიონთა თასის ფინალში მასპინძლები — პაკისტანელები 80 ათასი ქომაგის თვალწინ ოლიმპიურ ჩემპიონს — გერმანიას ეთამაშნენ. ძირითადი დრო — 70 წუთი ფრედ 2:2 დამთავრდა, პენალტების სერიაში კი მაიერჰოფერმა ბურთი კარის ხარიხას ზემოდან გადააცილა და პაკისტანმაც 7:6 მოიგო, რითაც 14-წლიანი პაუზის შემდეგ კვლავ გახდა ჩემპიონი. მანამდე ორივე ფინალისტმა წრიული ტურნირის ბოლომდე ერთი ტურით ადრე გაინაღდა ფინალში თამაში, რის გამოც ბოლო ტურში 1:1 ყაიმი გააგორეს. მეოთხე ტურში 50 ათასი ათასი ქომაგის მიერ შეგულიანებულმა მასპინძლებმა შარბაზ აჰმედისა და თაჰირ ზამანის გოლებით აჯობეს ტურნირის შარშანდელ გამარჯვებულ ავსტრალიას, გერმანიამ კი ჰოლანდიას ბოლო წუთებზე პენალტით გაუყაიმა ანგარიში. საბოლოოდ მესამე ადგილი დაიკავა ჰოლანდიამ, როცა პენალტებით 9:8 აჯობა ავსტრალიას (ძირითადი დრო 2:2). მეხუთე ადგილისათვის ესპანეთმა ბრიტანეთს 4:2 მოუგო. რაც შეეხება მსოფლიო პირველობას, იგი 23 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე სიდნეიში გაიმართება.

*

7 აპრილს ოგასტაში წლის პირველი დიდი საგოლფო შეჯიბრი — US Masters იწყება. მისი გენერალური რეპეტიცია იყო წინა კვირის „მოთამაშეთა პირ- რომელიც ფლორიდაში, პონტევედრას კლუბში მოეწყო. დიდებულად ითამაშა მსოფლიოს პირველმა ნომერმა, ავსტრალიელმა გრეგ ნორმანმა, რომელსაც მთელს ტურნირში ერთადერთი მაჩლაჯუნა (ნორმაზე ერთით უარესი) შეემთხვა და ისიც ბოლო დღეს. „თეთრ ზვიგენად“ ცნობილმა ნორმანმა გზის რეკორდით — ოთხგზის ნორმაზე 24-ით უკეთესით გაიმარჯვა და ჰონორარად 450 დოლარი მიიღო. მეორე და მესამე ადგილები მასპინძლებს — ფაზი ზელოსა და ჯეფ მაგოთს დარჩათ (შესაბამისად 20 და 17).

*

ვეინ გრეცკი NHL-ის უპირველესი ბომბარდირი გახდა. 21 მარტს მან „სანხოსე შარქსს“ ორი გოლი შეუგდო და გორდი ჰაუს გაუტოლდა, 23 მარტს კი „ვანკუვერ კენუქსს“ ერთი შაიბაც გაუტანა, რაც მის ჯამურ მონაგარში 802-ე აღმოჩნდა. ლიგის მამები, ეტყობა, საგანგებოდ ემზადებოდნენ ამ მოვლენისათვის. ამიტომ სარეკორდო გოლის გატანისთანავე თამაში შეაჩერებინეს და გრეცკის მიართვეს ყველა იმ მატჩის ოქმის ასლი, რომელშიც კი შაიბა გაუტანია. ჩვეულებრივი შეფასებით, ბომბარდირს 500-600 ფურცლიანი დასტა უნდა რგებოდა.

*

ბუდაპეშტში კროსმენთა მსოფლიო პირველობაზე გათამაშებული ქალთა, ვაჟთა, მოზრდილთა, ჭაბუკთა, პირადი და გუნდური, ანუ სულ რვა ტიტულიდან შვიდი მოიგეს კენიელებმა, ერთი კი — პორტუგალიელებმა. ყველაზე პრესტიჟულ — კაცების გარბენში ყველას აჯობა ვილიამ სიგაიმ, ქალთა შეჯიბრებაში კი — ჰელენ ჩიმაიომ.

აქეთური, იქითური

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით და პარასკეობით
ინდექსი 66441
რაიონებისთვის გაზეთის ფასი სახელშეკრულებოა

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი თამაზ მიბრიაული
რედკოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)